ნიადაგების გამოყენებას ხელს უშლის წყლის მექანიკური ზემოქმედება, ეროზიული და ღვარცოფული მოვლენები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის ქედის სისტემები ჯერ კიდევ განიცდის ცვლილებებს, დამთავრებული არ არის მთების წარმოქმნის პროცესები. ამიტომაც მცირე და დიდი კავკასიის ქედებზე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული გეოლოგიური პროცესები. მუდმივად ადგილი აქვს მეწყერებს, ღვარცოფებისა და სხვა ეროზიული პროცესების წარმოშობას, რომლებიც არა მარტო სხვადასხვა ნაგებობების, (გზები, შენობები) არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განადგურებასა და მწყობრიდან გამოსვლას ითვალისწინებს.

საქართველოს აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილში, მდინარეების გვერდით ბევრი ხევია. ეს ხევები ზაფხულობით დამშრალია, მათში წყალი არ მოედინება, ხოლო ჭარბი ნალექების პირობებში ხევების წყლით ავსება იწყება და იქიდან დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენები ჩამოაქვთ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მიმოიფანტება.



საქართველოში, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ცივგომბორის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე ჭარბი ნალექების შედეგად წარმოიქმნება დიდი ნიაღვრები, რომელთაც ხევებში დაგროვებული სხვადასხვა ბუნებრივი თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენები ჩამოაქვთ და მიმოფანტავენ ბარში სასოფლო-სამეურნეო ნათესებში. განსაკუთრებით საშიშია ღვარცოფული მოვლენები. მთებიდან ჩამოდენილ წყალს ჩამოაქვს დიდი რაოდენობით ნიადაგი და ქვა-ლორღი, რომლებიც იწვევენ ღვარცოფულ მოვლენებს. ღვარცოფი არის მიწის მასის, ქვა-ლორღისა და წყლის ნარევი, რომელიც ფარავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს და იწვევს მის განადგურებას. მძლავრ ღვარცოფებს ადგილი აქვს ყვარელის რაიონში, სადაც ადიდებული მდინარე დიდი კავკასიის სამხრეთ კალთებიდან ჩამოაქვს ნაშალი ქანები, ქვა-ლორღი და მთლიანად ფარავს კახეთის უნიკალური ვაზის ჯიშის რქაწითელის ვენახებს და ანადგურებს მთლიანად მოსავალს.

მდინარე თერგისა და არაგვის აუზებში წარმოშობილი ღვარცოფები ანადგურებს საავტომობილო გზებსა და სხვადასხვა ნაგებობებს, სახლებს და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. არანაკლები ზიანი მოაქვს დასავლეთ საქართველოში მშრალი ხევების ადიდების შედეგად გამოწვეულ ღვარცოფულ მოვლენებს. მათ ადგილი აქვს მცირე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ჭარბი ატმოსფერული ნალექებით გამოწვეულ მოვლენებს.



ჩვენი დაკვირვების ობიექტია ვანის რაიონის სოფელ ამაღლების სამხრეთ ნაწილიდან წარმოქმნილი ღვარცოფების მიერ გამოწვეული ზარალი, რომელიც გამოიხატება სიმინდის ნათესებში ყანების სავარგულების დაზიანებაში. სოფ. ამაღლების ორი მდინარის ფერეთასა და კვინისწყალის აუზებში, დიდი რაოდენობითაა მშრალი ხეები. მათი რიცხვი მერყეობს 4–5 ფარგლებში. ეს ხეები ზაფხულობით ამომშრალია. მათში დიდი რაოდენობით გროვდება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები. მოსახლეობას არ აქვს სოფლიდან ნაგვის თუ სხვა ნარჩენების გატანის საშუალება. ისინი გამოყენებულია ე.წ. ხელოვნურ ნაგვის საყრელად. რას არ ნახავთ აქ. სხვადასხვა საოჯახო ნარჩენებს, პლასტმასის ჭურჭელს თუ ბოთლებს, ტანსაცმლის ნაწილებს. ესენი ნალექების დროს აგუბებენ დელეში სოფლიდან ჩამოსულ წყალს. იქმნება მცირე ზომის დაგროვილი წყლის გუბურები, ხოლო კოკისპირული წვიმების შემთხვევაში წყალი ანგრევს ე.წ. ხელოვნურ კაშხალებს და წყლის დიდი მასა ამ ნარჩენებთან ერთად ჩამოედინება ვაკე ადგილებზე. ქმნის მძლავრ წყლის ნაკადს, რომელიც გადმოდის ნაპირებზე და ფარავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, იწვევს მის განადგურებას. წყლის ნაკადის მიერ წარმოქმნილი ღვარცოფების შედეგად, რომელსაც უხვად მოაქვთ მიწის მასა და ქვა-ღორღი იფარება როგორც დაუმუშავებელი, ასევე დამუშავებული ფართობების ზედაპირი. რის შედეგად ნადგურდება ნათესები, ნიადაგები ჭაობდება და მათი მექანიკური დამუშავება თითქმის შეუძლებელი ხდება. წყლის მძლავრი ნაკადი მოედინება სავარგულების ზედაპირზე და ჩადის მთავარ წყალშემკრებ მდინარე რიონის აუზში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე რ. — "სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია", "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი"; ქუთაისი; 2014წ; 3–4გვ.

SOME QUESTIONS ON THE EROSION CAUSED BY MECHANICAL INFLUENCE OF WATER

Maia Kheladze

Candidate of Agricultural Sciences, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

The damages caused by mud and erosive streams are presented in article. The soil cover, crops, highways and various constructions are destroyed. Besides, the congestion of household waste leads to pollution of water and the environment. By means of holding actions of complex melioration it is possible to prevent washing off the fertile soils from undesirable natural influences.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ЭРОЗИЙНЫХ ЯВЛЕНИЙ, ВЫЗВАННЫХ МЕХАНИЧЕСКИМ ВОЗДЕЙСТВИЕМ ВОДЫ

Хеладзе Майя

Акад. доктор с/х наук, Ассистент Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме



პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



В статье отмечены ущербы, вызванные селевыми и эрозийными потоками в результате которых уничтожается почвенный покров, сельскохозяйственные культуры, автомобильные дороги и различные сооружения. Скопление бытовых отходов приводит к загрязнению воды и окружающей среды. С помощью проведения мероприятий комплексной мелиорации можно предотвратить смывы плодородных почв от неблагоприятных природных воздействий.



**იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ფეიჭოას
 მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები**

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნატალია სანთელაძე

აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია სუბტროპიკული მეხილეობა. სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურებს შორის თავისი ორიგინალური გარეგნობით, ნაყოფმსხმოი-არობით და გამოყენებით, ფეიჭოას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მცენარის გაზრდისას შეიძლება წარმოიშვას არის მავნებლები და დაავადებები. ფეიჭოას კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის უმნიშვნელოვანესი რგოლია მათი დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან. სწორედ მასზეა დამოკიდებული ფეიჭოას უხვი, სტაბილური და ხარისხიანი მოსავლის მიღება.

კვლევა, რომლსაც ვატარებდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-საცდელ ბაზაზე იმერეთის (სოფ. გეგუთის) ტერიტორიაზე, მიზნად ისახავდა ფეიჭოას კულტურის გავრცელებას იმერეთის რეგიონის ალუვიური ნიადაგების აგროეკოლოგიურ გარემოში შუალედური კულტურების გამოყენებით.

კვლევის პერიოდში (2009-2012 წწ) ვატარებდით დაკვირვებებს ფეიჭოასა და შუალედური კულტურების (სიმინდი, სოია) დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებაზე.

დაკვირვებებიდან აღმოჩნდა, რომ ფეიხოას კულტურაზე აღმოჩენილი იქნა რბილი ცრუფარიანა (*Coccus hesperidum* L.) და იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანა (*Ceroplastes sinensis* Del Guer) (სურათი 1). ორივე ცრუფარიანა პოლიფაგია. როგორც ზრდასრული იმაგო, ისევე მატლი წუწნით აზიანებენ სუბტროპიკული კულტურების ტოტებს, ყლორტებს, ფოთლებსა და ზოგჯერ ნაყოფსაც. ცრუფარიანას უხვად გამოყოფილ ექსკრემენტებზე სახლდება სიმავის გამომწვევი საპროფიტული სოკო კაპნოდიუმი, რომელიც საგრძნობლად აჩერებს ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებს და ამავე დროს ამახინჯებს ნაყოფებს. ეს კი გავლენას ახდენს არა მარტო მცენარის ცხოველმყოფელობაზე, არამედ მოსავლის ხარისხზედაც, რითაც დიდ ზარალს აყენებს სუბტროპიკულ მეურნეობას მოსავლის სასაქონლო ღირებულების დაცემის გამო.

ცრუფარიანები აზიანებს რა ყველა მწვანე ორგანოებს: ტოტს, ყლორტებს და ფოთლებს. ფოთლებზე ჩვეულებრივად განლაგებულია ფოთლის ფირფიტის ზედა და ქვედა მხარეზე, უმთავრესად კი მთავარი ძარღვის ილიაში. ცრუფარიანები ზოგჯერ ისე ინტენსიურად მრავლდება, რომ ყლორტებსა და ტოტებზე სრულიად აღარ რჩება თავისუფალი ადგილი.



სურათი 1. იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანას ზრდასრული ფომები

ფეიხოსას დაავადებებიდან კი აღინიშნა: ფილოსტიქოზი - *Phyllosticta feijoae* Art და ნაცრისფერილაქიანობა - *Pestalotia versicolor* Art.

ფილოსტიქტოზი ფოთლებზე აჩენს წვრილ მრგვალ ან და კუთხური ფოთლის ლაქებს, რომლებიც ჯერ ღია ყავისფერია, შემდეგ ემიჯნება ლაქები საღ ნაწილებსაც, მუქი ყავისფერი ან შავი ფერის არშიით. პიკნიდიუმები გაბნეულა და ლაქის ზედაპირზე მურა ან შავი ფერის, სფერული ფორმის ზომით 100-120 მიკრონი. სპორები ელიფსური მომრგვალებული ბოლოებით. ახალგაზრდა ფოთლები დაავადების დროს დეფორმაციას განიცდის, ხუჭუჭდება, ძველი კი ხმება და ცვივა. ზოგჯერ სოკო აავადებს მწიფე ნაყოფსაც.

ახალგაზრდა ფოთლები დაავადების შემდეგ დეფორმაციას განიცდის, ხუჭუჭდება, ძველი ფოთლები კი ცვივა.

ყლორტებზე აჩენს მურა ან ყავისფერ ლაქებს, რომლებიც სწრაფად დიდდება და გარს უვლის ღეროებს, მათზე მოგვიანებით სოკო ივითარებს ნაყოფიანობას პიკნიდიუმების სახით. ლაქებით შემორკალური ყლორტები ხმება. ზოგჯერ სოკო აავადებს მწიფე ნაყოფებსაც, რომლებზედაც ყუნწის მიმაგრების ადგილებში მურა ან ყავისფერ ლაქებს აჩენს, დროთა განმავლობაში ასეთი ნაყოფები ცვივა.

ნაცრისფერი ლაქიანობა მასობრივადაა გავრცელებული. იგი აავადებს როგორც ფეიჰოსას აგეთვე ჩაის, დაფნას და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს. სოკო ფოთლებზე წვრილ უფორმო მურა ლაქებს აჩენს. ლაქა თანდათან დიდდება და ფოთლის უმეტეს ნაწილს იკავებს. საღი ნაწილიდან გამიჯნულია მუქი არშიით, უმეტესად ზედა მხარეზე ეპიდემიის ქვევით ინვითარებს სარეცელს. სარეცელზე ლენტისებური სპორანგიუმები წარმოიქმნება. სპორები თითისტარისებურია, ხუთუჯრედიანი. ტოტებისა და ყლორ-ტების დაავადება იშვიათია. ასევე იშვიათია ნაყოფების დაავადებაც.

ფეიჰოსას დაავადების და მავნებლების წინააღმდეგ გამოვიყენეთ რიდონეტის 0,4%-ი-



ანი ხსნარი კომბინაციაში ალპაკის 0,03%-იან ხსნართან. პირველი შესხურება მოვახდინეთ ვეგეტაციის დაწყებამდე, ხოლო მეორე - მაის-ივნისში.

შუალედურ კულტურებზე დაავადებები და მავნებლები არ აღნიშნულა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ყანჩაველი ნ. - ზოგადი ფიტოპათოლოგია. თბილისი, 1978

PESTS-DISEASES OF FEIJOA GROWN ON ALLUVIAL SOIL IN IMERETI AND ARRANGEMENTS FOR FIGHTING AGAINST THEM

Nunu Chachkhiani- Anasashvili

Academic Doctor of Agriculture, Associated Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Natalia Santeladze

Doctor of Agrarian Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

One of the important problems which can be aroused regarding growing of the plant is pests and diseases. The important thing for growing technology of feijoa is their protection from pests which is the basic arrangement for stable, qualitative and abundant harvest of the plant. The observation displayed that better result was given from measures taken against pests: *Coccus hesperidum* L., *Ceroplastes sinensis* Del Guer, *Phyllosticta feijoe* Art, *Pestalotia versicolor* Art found on Feijoa with combination of the liquid Ridonet 0.4% and Alpac 0.3%. The first spray was made before vegetation and the second one in May-June.

БОЛЕЗНИ И ВРЕДИТЕЛИ ФЕЙХОА, ВЫРАЩЕННЫХ НА АЛЛЮВИАЛЬНЫХ ПОЧВАХ ИМЕРЕТИ И МЕРЫ БОРЬБЫ С НИМИ

Чачхиანი – Анасашвили Нуну

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Сантеладзе Наталия

Академический доктор аграрных наук, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Одной из самых жгучих проблем, возникающих при выращивании растения, являются болезни и вредители. Важнейшим звеном технологии ухода и выращивания культуры фейхоа является их защита от вредных организмов. Именно от неё зависит получение обильного, стабильного и качественного урожая фейхоа. В результате наблюдения на фейхоа обнаружены болезни и вредители: мягкая ложнощитовка (*Coccus hesperidum* L) и японская восковая ложнощитовка (*Ceroplastes sinensis* Del Guer), филлостиктоз (*Phyllosticta feijoe* Art) и серая пятнистость (*Pestalotia versicolor* Art.).

Из мер, принятых по борьбе с ними, хороший результат показало применение 0,4% раствора ридонета в комбинации с 0,03% раствором альпака. Первое опрыскивание произвели до начала вегетации, а второе - в мае – июне.



ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში

მზია კურდღელია

ს.მ. აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ფსტა უძველესი კაკლოვანი მცენარეა. ის საქართველოში ოდითგანვე ყოფილა გავრცელებული, ნაყოფის (კაკლის) გემური თვისებებით და კალორიულობით მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა, ფსტა კაკლოვნებიდან ყველაზე ძვირადღირებული კაკალია, რომლის ფასი საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ აღემატება სხვა კაკლოვნების ფასებს, ამავ დროს თხილთან შედარებით სტაბილური ფასით გამოირჩევა, რომლის დაცემა მოსალოდნელი არ არის. ფსტა მაღალმოსავლიანი კულტურაა, მისი სრულასაკოვანი პლანტაცია ერთ ჰექტარზე 10 ტონაზე მეტ მოსავალს იძლევა. აღმოსავლეთ საქართველოა ზოგიერთ რაიონში უკვე მიმდინარეობს მისი გაშენება. საქართველოში ფსტის კულტურის წარმოების აღდგენა დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

ფსტა კაკლოვანი სუბტროპიკული მცენარეა. ლათ. Pistacia vera L. რუსულად *фисташка* ის მრავალი სინონიმის სახელითაა ცნობილი: ბუსტული, ფისტილი –(მესხური); ფისტა- (სულხან საბა ორბელიანი).

ფსტა შედის თუთუბოსებრთა ოჯახში, რომელშიც გაერთიანებულია 80-მდე გვარი, მათ შორის: საკმლის ხე, თუთუბო და ფსტა. ფსტის გვარიდან (*Pistacia*) ჩვენში ცნობილია: ნამდვილი ფსტა (*Pistacia vera L.*) და კვეის ხე (*Pistacia mutica F.et M.*). საკვებად მხოლოდ ნამდვილი ფსტა გამოიყენება. ლიტერატურული მონაცემებით ნამდვილი ფსტის 200 დან 400 ჯიშია ცნობილი.



ფსტის სამშობლო ირანია. რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ის გავრცელებული იყო: ავღანეთიდან სირიამდე, დასავლეთ, წინა და შუა აზიაში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, კავკასიაში (მათ შორის საქართველოში). აშშ-ში (კალიფორნიის შტატი) ფსტას კულტივირება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს (1890 წ.). ამჟამად ის წარმოების მოცულობით მხოლოდ ირანს ჩამორჩება. ამ ქვეყნების გარდა ფსტას სამრეწველო მიზნით აწარმოებს: ჩინეთი, საბერძნეთი, ავღანეთი, იტალია, შუა აზიის ქვეყნები და სხვ. ფსტა საქართველოში ოდითგანვე ყოფილა გავრცელებული. იგი მოხსენიებულია „ხილთა ქებაშიც“. ქართულ



ენაზე არსებული სინონიმების სიმრავლევ ოდესღაც მის ფართო გავრცელებას ადასტურებს.

აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს ფსტის კულტურის პოპულარიზაციას და საქართველოში ამ კულტურის პერსპექტივის გაცნობას, რათა სხვა სუბტროპიკულ ხეხილოვნებთან ერთად მალე დაიმკვიდროს თავისი ადგილი. ფსტა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კაკალია, რომლის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ბევრად აღემატება ნიგვზის, თხილისა და სხვა კაკლოვნების ღირებულებას, თანაც მათთან შედარებით მდგრადი ბაზარი გააჩნია.

საქართველოში ფსტის პლანტაციების გაშენებას მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ექნება. როგორც საწარმოო კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ნაყოფის კვებითი ღირებულებებით და ფასითაა საინტერესო. ფსტის ნაყოფს სასიამოვნო გემო და არომატი აქვს. მას იყენებენ უმად, დამარილებულს ან მოხალულს. ზოგიერთ ქვეყანაში დამარილებულ და გამხმარ ფსტას ხორცისა და თევზის საკმაზადაც ასევე იყენებენ კულინარიაში- ნამცხვრებში, ყავის სუროგატად. ფსტის ცხიმზეთი გამოიყენება, ძეხვის, საკონდიტრო წარმოებაში და ა.შ. ფსტა პერსპექტიულია ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული წარმოებისათვის, ჰომეოპათიისათვის. მას იყენებენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ, ტუბერკულოზის, სისხლნაკლებობის და სხვ. დაავადებების დროს.

ფსტის მედიცინაში გამოსაყენებელ ნედლეულს წარმოადგენს ე.წ. "გალები", რომლებიც ჩნდება ვარჯზე და ფოთლებზე, რაც, სხვა მცენარეებს არ ახასიათებს. კაკალთან ერთად გალების წარმოებაც დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

ფსტა 5-7 იშვიათად 10 მეტრამდე სიმაღლის ხეა. გვხვდება 2-6 ამონაყრიანი 3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქის ფორმითაც. კულტურაში უმჯობესია ის ხედ გაიზარდოს. ფსტა მშრალი სუბტროპიკული კლიმატის სინათლის მოყვარული მაღალი ყინვაგამძლე მცენარეა (-25°C შეიძლება-40°C) ამავე დროს გვალვაგამძლეცაა (+50°C). ნაყოფს მოსამწიფებლად სჭირდება 3000-3500°C აქტიურ ტემპერატურათა ჯამი. მძლავრად განვითარებული ფესვთა სისტემის გამო საუკეთესოა ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ. ნიადაგის მიმართ მომთხოვნი არ არის, უკეთესად იზრდება ნეიტრალურ ან სუსტი ტუტე - pH= 7,0-7,8 რეაქციის ნიადაგებზე. ცოცხლობს 300-500 წელი. ორსახლიანი მცენარეა, ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედად. იმტვერება ქარით. ყვავილობს მარტის ბოლო აპრილის დასაწყისში. მამრობითი ყვავილები ცოტათი ადრე იშლება, რაც ხეების სქესის გარჩევის საშუალებას იძლევა. ყვავილობს მხოლოდ 3 - 4 დღე. ფსტის ნაყოფი კაკალია. ნაყოფი შედგება ორი ლებნისაგან; ნაჭუჭი თხელია. ნაყოფი მწიფდება აგვისტო - სექტემბერში.

ფსტას ძირითადად ამრავლებენ თესლით და მცნობით. სამირედ იყენებენ საკმლის (კევის) ხის ნერგებს. დღეისათვის საქართველოში რეალურია ფსტის თესლით გამრავლება. თესვისთვის 1 ჰექტარზე საჭიროა 65-75კგ თესლი. ნერგი სანერგეში გამოჰყავთ. უმჯობესია მუდმივ ადგილზე თესვა, მაგრამ ძნელი დასაცავი და მოსავლელია პლანტაცია. დათესვამდე ახალ თესლს ალბობენ ზრდის სტიმულატორში, ან წყალში ორი დღის განმავ-



ლობაში. ფსტა ზღვის დონიდან 1700 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება, ხოლო საკმლის ხე და მასზე ნამყენი მცენარის გავრცელების არეალი მხოლოდ 1000 მ-დე.

მდედრობითი და მამრობითი ხეების თანაფარდობა პლანტაციაში უნდა იყოს 10 მდედრობით ხეზე 1 მამრობითი მცენარე. ნერგები ირგვება 5-5 მ კვების ფართით (1 ჰა-ზე საშუალოდ 400 ძირი). 7-10 წლის ასაკში იწყებს პირველ მსხმოიარობას. სრულ მოსავლიანობას დაახლოებით 20 წლის ასაკში აღწევს. ერთი ძირის მოსავლიანობა 25-35 კგ-ია, ხოლო ერთ ჰექტარზე 10 ტონაზე მეტი კაკლის მოსავალს იძლევა.

ფსტის გასაშენებლად პერსპექტულია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი რაიონები. ჯერჯერობით ახლად გაშენებულია რამდენიმე საცდელი ნარგაობა: მცირე ფართობებზე: იორმულანლოში (კახეთი), წნორში. შირაქში, ქარელში (ზემო ხვედურეთი). სნოში უკვე შენდება ფსტის საწარმოო პლანტაცია დარგის სპეციალისტები თვლიან, რომ საქართველოში ფსტის კულტურის აღორძინებას და საწარმოო მასშტაბებით გაშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. შენგელია-სამასწლიანი ეკონომიკური ბაზა დავით გარეჯის უდაბნოსათვის. "ეკო-ფარმი". 2009. **Ошибка! Недопустимый объект гиперссылки.**
2. „ფსტის მოყვანა“. აგროინფორმი, თბილისი, 9, 2007, agroinfo.ge
4. <http://www.ipress.ge/new/42019-sofel-iormughaloshi-fstis-baghebi-gashenda>

THE PROSPECTS OF PISTACIA VERA IN EAST GEORGIA

Mzia Kurdgelia

Acad. Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

Pistacia Vera is a nut plant of subtropical climate. It has been planted in Georgia since old times. Its fruit in the international market is very expensive and has a stable price. It's grown in many countries of the world, but the basic producers are Iran and the USA (California).

The height of Pistacia Vera is 10m. It is frost resistant and lives 300-500 years. It is a large yielder plant. One hectare plantation gives up to 10 tone harvest. Growing of Pasticia Vera is very perspective in east regions of Georgia. In some regions planting of Pistacia vera has been started already. Introduction of Pistacia vera in Georgia will bring a great economic profit to the country.

ПЕРСПЕКТИВА КУЛЬТУРЫ ФИСТАШКИ В ГРУЗИИ

КурдгелияМзия

Акад. доктор с /х наук. Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Фисташка- орехоплодное растение сухого субтропического климата. Она в древние времена разводилась в Грузии. На международном рынке её плоды (орехи) стоят дорого, в тоже время характеризуется стабильной ценой. Её разводят во многих странах мира, но основными производителями являются Иран и США (Калифорния).



პერიოდული საეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



Фисташка древесное растение высотой до 10 м. Она высоко морозоустойчивая, живет 300-500 лет. Культура высокоурожайная. 1га плантации даёт более 10 т урожая. Для разведения культуры фисташки перспективными являются районы Восточной Грузии. В некоторых районах уже начата закладка производственных насаждений фисташки. Внедрение культуры фисташки в Грузии даст высокую экономическую прибыль.



ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო

დემეტრე ლიპარტია

დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია საკარანტინო მავნებელი, რომელიც აზიანებს 300 ზე მეტი სახეობის სასოფლო სამეურნეო კულტურას, ტყისა და დაკორატიულ მცენარეებს. სახელმწიფო უწყებები აქტიურადაა ჩართული ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებში

ბოლო პერიოდში დასავლეთ საქართველოში გავრცელდა მავნებელი “კუსებრი ფაროსნების” სამი სახეობა: *Nezaria viridula*, *Halyomorpha Halys. palomena prasina*. რომლებიც მიეკუთვნებიან საშიშ მავნებლებს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ სასოფლო სამეურნეო კულტურებს: მარცვლეულს, პარკოსნებს, ხეხილს, ბაღჩეულს, დეკორატიულ მცენარეებს, კენკროვნებს და სხვას. მავნებელი საკვების მოპოვების მიზნით ხორთუმიტ ჩხვლეტს მცენარის ახალგაზრდა ნაყოფს, ფოთოლს, ყლორტს და წუწნის წვეს. ამ დროს ის გამოყოფს შხამს, რომელიც იწვევს მცენარეული უჯრედის დაშლას.

დაზიანებული ფოთლები და ყლორტები ყვითლდებიან, იწყებენ ცვენას და ვერ ვითარდებიან, ნაყოფის შემთხვევაში იცვლება მისი გემო და შეიძლება ნაჩხვლეტ ადგილზე დაიწყოს ნეკროზი და ლპობა.

მარმარა ბაღლინჯო *Halyomorpha Halys*. (სურათი1) სასოფლო სამეურნეო კულტურების, ტყისა და დეკორატიული მცენარეების საშიში მავნებელია. მის სამშობლოდ გვევლინება სამხრეთ აღმოსავლეთ აზია, ჩინეთის, იაპონიისა და კორეის კუნძულები. 1996 წელს მისმა გამოჩენამ ა.შ.შ-ში საყოველთაო განგაში გამოიწვია, თუმცა მისი იდენტიფიკაცია უფრო გვიან, 2001 წელს მოხდა.

პირველი ინფორმაცია ხოჭოს მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების შესახებ იყო პენსილვანიაში, 2005 წელს კალიფორნიაში, ორეგონში და სხვა შტატში.

2008 წელს ხოჭო გამოჩნდა შვეიცარიაში, 2010 წელს ახალ ზელანდიაში. ასევე, 2010 წელს ის აღმოაჩინეს ინგლისში, ერთ-ერთი მგზავრის ჩანთაში, რომელიც ამერიკიდან მოდიოდა. მარმარილოსებრი ხოჭო ამ დროისთვის გავრცელებულია ამერიკის 34 შტატში.

ხოჭო მიეკუთვნება რიგს ჰამიპტერა, ფაროსანთა ოჯახი პენტატომიდაე, არის 17მმ ყავისფერი, სხვა მისი ოჯახის წევრი ხოჭოებისგან განსხვავდება თეთრი ფერის ზოლებით ანტენებსა და სხეულის გარშემო. ბარძაყებზე და თვალების წინ განლაგებულია ქაცვები, რამოდენიმე კი მკერდის გვერდითა ნაწილებში. მწერი დებს ელიფსოიდური ფორმის კვერცხებს ზომით 1,3 დან 1,6 მმ-მდე, ყვითელი ფერის, მოყვითალო ვიწრო ზოლებით, რომელსაც ამარგებს 20-30 ცალიან გროვებად ფოთლის ქვედა მხარეს. მატლის ზომა მერყეობს 2,4 მმ 1 თვიდან 12 მმ 5 თვემდე.




ინგლისურენოვან ლიტერატურაში მწერი მოხსენიებულია როგორც brown marmorated stink bug (BMSB), ყვითელფრთიანი სუნინი ხოჭო, (yellowbrown stink bug), აზიური სუნინი (east Asian stink bug). ისინი არა მხოლოდ აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, არამედ, ვნებენ ადამიანსაც. იჭრებიან საცხოვრებელ სახლებში, თავდასხმა ძირითადად იწყება ზამთრის მოახლოებასთან ერთად.

აზიაში მარმარა ბაღლინჯო აზიანებს 300 მცენარეს, იაპონიაში კედარს და კვიპაროსს, ჩინეთში ტყის მცენარეებს, ევროპაში არა მხოლოდ აზიანებს კენკროვნებს და ყურძენს, არამედ გემოსაც უცვლის. (დიდი გავლენა აქვს ყურძნის ხარისხზე).

ხოჭოები აკეთებენ ნახვრეტს ხილზე (ნაყოფზე) ან ფოთლებზე და წუწნიან წვენს, საერთო ჯამში ვითარდება ნეკროზული ლაქა, საიდანაც შეიძლება შეიჭრას სხვადასხვა დაავადება. ასევე საგულისხმოა, რომ თვითონ ხოჭოც შეიძლება გახდეს ფიტოპათოგენური ორგანიზმების გადამტანი.

ხოჭოს მაშტაბური მავნეობა იყო 2010 წელს ამერიკის 33 შტატში, როდესაც ზარალმა 33 მილიარდ დოლარს მიაღწია. (ნიუ იორში დაკარგეს ვაშლის, ყურძნის, მსხლის, სიმინდის, კიტრის მოსავალი, რომლებმაც 878 მლნ დოლარი შეადგინა).

მარმარა ბაღლინჯო – სითბოს მოყვარულია, ის მრავლდება მაშინ როდესაც ტემპერატურა 15-დან 33 გრადუსამდეა. (15 გრადუსზე შეუძლია განვითარდეს ემბრიონი, ხოლო ამ დროს გამოჩეკილი მატლები ილუპებიან. განვითარებისთვის საუკეთესოა 20-25 გრადუსი. სრული ციკლი კვერცხიდან იმაგომდე 20 გრადუსის პირობებში მიმდინარეობს 80-85 დღე. თუ 30 გრადუსია 34-35 დღე) (ცხრილი 1.)





ტემპერატურა	კვერცხი	მ ა ტ ლ ი					კვერცხი იმაგო
		1 ფა- ზა	2 ფა- ზა	3 ფა- ზა	4 ფა- ზა	5 ფა- ზა	
20 °C	11	9-10	16-17	11-12	13-14	20-21	80-85
30 °C	3	4	7	6	6	8-9	34-35

სუბტროპიკულ კლიმატში იძლევა 3-დან 5-მდე თაობას წელიწადში. ძალიან ბევრი კვლევა ჩატარდა მავნებელთან საბრძოლველად, გამოიცადა ბევრი პრეპარატი. საუკეთესო შედეგი აჩვენა პრეპარატებმა, რომელთა მოქმედი ნივთიერება ბიფენტრინი და ლამბდაცეკალოტრინია.

ზრდასრული ხოჭოების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა სოკო *Beauveria bassiana* და *Metarhizium anisopliae*, საკმაოდ კარგი ეფექტით (80% წარმატებით).

ჩინეთში მავნებელს ყავს ბუნებრივი მტერი *Trissolcus halyomorpha*, რომელიც მის კვერცხით იკვებება. მისი გავლენის წყალობით ჩინეთში ხოჭოს მავნებობა 50 %-ით არის შემცირებული, რომელიც აუცილებლად ინდროდუცირებული იქნება, იმ ქვეყნებში სადაც მავნებელია გავრცელებული. ასევე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს გარემო, მისი გავრცელების არეალი, შესაძლოა კონკრეტულ ქვეყნებში იყოს ადგილობრივი ენტომოფაგი.

ამერიკელი მეცნიერი John Moredock-ის ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ Podisus შეუძლიათ გახვრიტონ მავნებლის კვერცხი 5 ასაკობრივი სტადიიდან მეოთხის ჩათვლით, თუმცა ისინი იშვიათად უმკლავდებიან ზრდასრულ ხოჭოებს, რაც აძნელებს მავნებლის კონტროლს გაზაფხულის დასაწყისში, როდესაც გამოდიან გამოსაზამთრებელი ადგილებიდან.

გავრცელების უდიდესი რისკის ქვეშაა: სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კონგო, აღმოსავლეთ ევროპა, შავი ზღვის სანაპირო ზოლი (30-60 გრადუს გრძედისა და განედზე).

საკარანტინო მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებაში ქართველ მეცნიერებთან ერთად ჩართულნი არიან მსოფლიოში წამყვანი ექსპერტები.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) Bloetcher B, Jones SC, Welty C. (2008). Halyomorpha halys: a new state record. PowerPoint presentation available for NPDPN First Detector training. NPDPN No. 0026. National Plant Diagnostic Network. http://www.npdn.org/webfm_send/453
- 2) CDFA. (2005). Report covering period from July 2002 through July 2005. California Plant Pest &



Disease Report. Volume 22, No. 1. California Department of Food and Agriculture.
http://www.cdfa.ca.gov/PHPPS/ppd/PDF/ CPPDR_2005_22-1.pdf

3) MIPSP. (February 2008). Brown marmorated stink bug. Massachusetts Introduced Pests Outreach Project. <http://www.massnrc.org/pests/pestFAQsheets/brownmarmoratedstinkbug.html>

4) Жимерикин В.Н., Гулий В.В. Мраморный клоп // Защита и карантин растений, 2014. – № 4. – С. 40-43.5)

5) Guide to the identification of brown marmorated stink bug, Halyomorpha halys, and other similar bugs. – Canberra: Department of Agriculture and Water Resources agriculture, 2015

BROWN MARMORATED STINK BUG

Demetre Lipartia

Doctoral, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

A quarantine pest – Brown Marmorated Stink bug - is widely spread in western Georgia. It damages over 300 agricultural, forest and ornamental plants. State agencies, together with Georgian and foreign scientists are actively involved in planning and implementation of the activities against this pest.

КОРИЧНЕВЫЙ МРАМОРНЫЙ КЛОП

Липартия Деметре

Докторант, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

В Западной Грузии распространён карантинный вредитель коричневый мраморный клоп, который наносит вред более, чем 300 видам сельскохозяйственных культур, лесным и декоративным растениям.

Государственные ведомства, вместе с грузинскими и зарубежными учеными, активно включены в вопросы планирования и осуществления мероприятий по борьбе с вредителем.



**აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა
 ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ
 მახასიათებლებზე**

ნარგიზა ალასანია

ასისტენტ პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

აჭარის ზღვისპირა რეგიონში ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, სადაც შესწავლილია ჰაერის მომატებული ტემპერატურის (25 გრადუსი ცელსიუსის 1,2 და 3 სთ-ის განმავლობაში, 27 გრადუსი 2სთ-ს განმავლობაში) გავლენა ლობიოსა და ბამიას (*HIBISKUS ESKULENTUS L*) აღმონაცენების მორფოფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე. ლობიო სითბოს მოყვარული მცენარეა. აღმოცენებისათვის მინიმალური ტემპერატურა 10-12 გრადუსია, ხოლო მთელი სვეტაციო პერიოდის განმავლობაში 2700-2800 გრადუსი ცელსიუს აქტიურ ტემპერატურათა ჯამს საჭიროებს.

ბამია ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ბალბისებრთა ოჯახიდან. ორსქესიანი, ერთწლიანი ბოსტნეული კულტურაა მთავარი ფესვით, რომელიც ღრმად ჩადის ნიადაგში, რომელზეც მომატებული (25 გრადუსი) ტემპერატურის ზემოქმედება ერთი საათით იწვევს ორგანოთა ზრდის სტიმულაციას. ხოლო მაღალი (27გრადუსი) ტემპერატურის ზემოქმედებას სამი საათით თან ახლავს ბამიას აღმონაცენის ჭკნობა და დაღუპვა.

მწვანე კონცხი მდებარეობს აჭარის დასავლეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი კლდოვანი რელიეფი განვითარებულია შუა ეოცენის ნაოჭა სუბსტრატზე, ზღვის დონიდან 90-100 მეტრზე. შედარებით განსხვავებული რელიეფით ხასიათდება, ვიდრე მიმდებარე კახაბრის ვაკე დაბლობი. ადგილის რელიეფის სიმაღლითი გავრცელებამ განაპირობა ლანდშაფტის სხვა კომპონენტების (ჰავა, მცენარეულობა, ნიადაგი, ექსპოზიცია, ტენი და სხვ.) მრავალგვარობა.

ჰავა აქ ნოტიო სუბტროპიკულია. მწვანე კონცხის გეოგრაფიული მდებარეობა -სუბტროპიკული ზონის ჩრდილო პერიფერიაზე, როგორც ე. ნაფეტვარიძე აღნიშნავს, განაპირობებს მის სოლარულ ჰავას, რომელიც მცირედ განსხვავდება სუბტროპიკული ქვეყნების ჰავისაგან. აქ განსაკუთრებით საინტერესოა საშუალო წლიური ტემპერატურული ამპლიტუდა, რომელიც მინიმალურია არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ კონტინენტისათვისაც, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მცენარეთა მრავალი სახეობის ინტროდუქციისა და ზრდა-განვითარებისათვის. (სწორედ აქ მდებარეობს ბათუმის ბოტანიკური ბაღი).



ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურებია.

სადგური	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლი- ური
ქვემო მწვ. კონცხი	4,1	4,7	7,3	10,2	14,2	19,2	28,4	29,8	24,0	10,6	9,7	6,8	12,4
ზემო მწვანე კონცხი	6,0	6,1	8,3	11,2	15,0	18,7	27,5	27,9	19,3	11,4	12,2	8,9	13,8

აჭარის ზღვისპირეთის ვულკანოგენურ ქანებზე თბილმა და ნოტიო ჰავამ ხანგძლივი დროის განმავლობაში განაპირობა წითელმიწა ნიადაგების გენეზისი. ამას პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. კრასნოვმა "არსად რუსეთში მთის ქანების გამოფიტვა არ ხდება, ისეთი არაჩვეულებრივი სისწრაფით, როგორც ეს არის ბათუმის მიდამოებში.:(1)

მეოთხეული გამყინვარების შემდგომ ეპოქაში, თანამედროვე მცენარეული საფარის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანმა მისი შეგნებული თუ შეუგნებელი სამეურნეო საქმიანობით. თითქმის ყველგან მოჩანს ამა თუ იმ დოზით ანტროპოგენური ფაქტორი. ეს განსაკუთრებით ნათელია გორაკ-ბორცვიან და დაბალ ზონაში, სადაც ბუნებრივი საფარის ადგილას -უდიდეს ნაწილში კულტურული მცენარეებია განვითარებული. ჩვენს საკვლევ ობიექტზე მწვანე-კონცხზე ბოსტნეული კულტურა, ლობიო გვხვდება ყველგან საკარმიდამო ნაკვეთებზე, ხოლო ბამია იშვიათად, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი მორფოლოგიით, ბიოლოგიით და კვებითი ღირებულებითაც ბევრად არ ჩამორჩება ლობიოს.

ექსპერიმენტს ვატარებდით მწვანე კონცხის აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული მიმართულების საცდელ ნაკვეთის ფერდობებზე, ტერასებზე 2010-2011 წლებში. მწვანე კონცხზე ტემპერატურული რეჟიმის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენის მორფოლოგიურ ცვალებადობაზე.

ლობიო სითბოს მოყვარული მცენარეა. აღმოცენებისათვის მინიმალური ტემპერატურა 10-12 გრადუსია, ხოლო მთელი საცეცეტაციო პერიოდის განმავლობაში 2700-2800 გრადუსი ცელსიუს აქტიურ ტემპერატურათა ჯამს საჭიროებს. დაბალი ტემპერატურისადმი მეტად მგრძობიარეა - 0,5-1 გრადუსზე მისი აღმონაცენი იღუპება. 2011 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე-მწვანე კონცხის მიდამოებში ტემპერატურა 10 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოსულა, რამაც ხელი შეუწყო ლობიოს დათესილი 80 თესლიდან 71 (90%-მდე) აღმოცენდა, მაშინ როცა ბამიას 80 თესლიდან მხოლოდ 57(70%-მდე).

ბამია ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ბალბისებრთა ოჯახიდან, ორსქესიანი, ერთწლიანი ბოსტნეული კულტურაა მთავარი ფესვით, რომელიც ღრმად ჩადის ნიადაგში.



ბამია თვითდამტვერავი მცენარეა, მაგრამ ტენიანი კლიმატის პირობებში შესაძლებელია მოხდეს ჯვარედინი დამტვერიანებაც, რაც იწვევს ჯიშური შედგენილობის ცვლილებებს მიღებული თესლებით თესვის დროს. ნაყოფმსხმოიარობას ბამია იწყებს დათესვიდან 60-65 დღის შემდეგ და ეს პროცესი გრძელდება მცენარის მოყინვამდე. მოსავლიანობა მაღალია კარგი მოვლის პირობებში.(2)

ლობიო კარგად ვითარდება კირიან ნიადაგებზე, ვერ იტანს ნიადაგის მჟავე რეაქციას, ვერ ეგუება დამლაშებულ ნიადაგებს. ლობიოს ზრდა-განვითარება ნაწილობრივი დაჩრდილვით არ ფერხდება, ამიტომ მას ხშირად თესავენ სხვა კულტურებთან შერჩევით. კულტურაში შემოტანილია ოცამდე ლობიოს სახეობა, მაგრამ მათგან ჩვენში ყველაზე მეტად გაცრცელებულია ჩვეულებრივი ლობიო. ჩვენ ექსპერიმენტში გამოვიყენეთ მამა ლობიო, რომელიც შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული.

ლობიოს აღმონაცენი ტემპერატურის სამი გრადუსით მომატებისას ინვითარებს 2-3 ფოთოლს, ყველა აღმონაცენი სიცოცხლის უნარიანია, ხოლო ბამია ამ პერიოდში იზრდება 2-3 სმ სიმაღლეში და ინვითარებს 1-2 ფოთოლსაც.(3)

შესწავლილია ჰაერის მომატებული ტემპერატურის (25გრადუსი ცელსიუსის 1,2 და 3 სთ-ის განმავლობაში, 27 გრადუსი 2სთ-ს განმავლობაში) გავლენა ლობიოსა და ბამიას (HIBISKUS ESKULENTUS L) აღმონაცენების მორფოფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე. მომატებული (25გრადუსი) ტემპერატურის ზემოქმედება ერთი საათით იწვევდა ორგანოთა ზრდის სტიმულაციას, ხოლო მაღალი (27 გრადუსი) ტემპერატურის ზემოქმედებას სამი საათით თან ახლდა ბამიას აღმონაცენის ჭკნობა და დაღუპვა. ამავე ტემპერატურაზე ლობიოს აღმონაცენი გამძლე აღმოჩნდა, თუმცა შეინიშნებოდა ცვლილებები ფესვის მორფოლოგიაში: მთავარი ფესვის წვერის ნეკროზი, გვერდითი ფესვების ზრდისა და აღდგენის შეფერხება. ლობიოს აღმონაცენის ორგანოებს შორის ლეზნები ყველაზე გამძლე აღმოჩნდა ტემპერატურული შოკისადმი. ტემპერატურის ზემოქმედებამ შესწავლილ მცენარეთა აღმონაცენებში გამოიწვია ტენის შემცველობის კანონზომიერი შემცირება, რაც ტემპერატურის სიდიდისა და ზემოქმედების ხანგრძლივობის მატებასთან იყო დაკავშირებული. ტემპერატურის მატებამ ორი საათის განმავლობაში გამოიწვია აღმონაცენში წყლის ისეთი რაოდენობით შემცირება, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ზრდის ინჰიბირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ.ე. ალასანია - აჭარის ასსრ დასავლეთ ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. ბათუმი 1962წ.
- 2.ზაირა ტყეზუჩავა, გივი ცაგურიშვილი, ნუნუ ჩხაიძე - სოფლის მეურნეობის საფუძვლები. თბილისი 2008 წ.
- 3.ი.ძირკვაძე და სხვები-სახელმძღვანელო ცნობარი ფერმერთათვის. ბათუმი 2008 წ.



THE INFLUENCE OF TEMPERATURE ON THE MORPHOLOGICAL CHARACTERISTICS OF SEEDLINGS OF BEANS AND BAMIA IN THE COASTAL ZONE OF ADJARA

Nargiza Alasania

Assistant Professor, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Summary

The climate is humid subtropical here. The influence of the increasing temperature of air on the morphological characteristics of seedlings of beans and bamia has been studied (25 degree Celsius for 1, 2 and 3 hours). It needs the sum of active temperatures (2700-2800 degree Celsius) during the vegetation period.

ТЕМПЕРАТУРНОЕ ВЛИЯНИЕ МОРФОЛОГИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК НА РАССАДЫ ФАСОЛИ И БАМИИ В ПРИБРЕЖНЕМ РЕГИОНЕ АДЖАРИИ

ნარგიზა ალასანია

Ассистент Профессор, Государственный университет Шота Руставели, Батуми, Грузия

Резюме

Климат здесь влажный субтропический. Повышенная температура воздуха (25⁰С по в течений 1,2 и 3 час, 27⁰С в течение 2 ч) воздействует бобов и бамии (*Hibiskus ESKULENTUS L*) на рассады морфофизиологического характеристику. Фасоли теплолюбивое растение. Происхождение для минимальной температуры 10-12 градусов, в то время как остальная часть 2700-2800 период градусов по цельсию активных температур суммы потребностей.



**სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური ბაზუჭების
 მიზიქების ბამოკვლევა ტრანსპორტირებისას**

ნანა გოგიშვილი

ტექნოლოგიების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ქეთევან კინწურაშვილი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების დამზადების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების დროს აღდგენილი აქვს მათ მნიშვნელოვან დაზიანებას. ამ დაზიანებას იწვევს ხურმის ნაყოფებისადმი შედარებით აქტიური ობის სოკო Rhizopus nigricans-ი. ხურმის ნაყოფის რბილობი შექრიანობით და აქტიური მჟავიანობით ამ მიკროფლორისათვის წარმოადგენს ხელსაყრელ საკვებ არეს. ობის სოკოების განვითარებას ასევე ხელს უწყობს ტემპერატურული პირობები, რომლებშიც იმყოფება ნაყოფები აღების, შეფუთვისა და მოკლევადიანი შენახვის მომენტში გადაზიდვამდე.

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფი წარმოადგენს ძალიან ძვირფას საკვებ პროდუქტს, რადგან ის შეიცავს 15% ინვერსიულ შაქარს, 0,3% პექტინს, ცილებისა და მინერალური ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას. ხურმის ნაყოფებში C ვიტამინის 20-30მგ% და კაროტინის 0,4მგ% არსებობა ამ პროდუქტს ანიჭებს ასევე დიეტურ თვისებებს.

საქართველოში სუბტროპიკული ხურმის ნარგავებს მოსავლიანობის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავთ ციტრუსების შემდეგ. ამჟამად ამ კულტურის ნაყოფების გადამამუშავება არ აღემატება 5-6 ათას ტონას, რაც შეადგენს შესაძლებლობის 40-50%-ს. ამის მიზეზს წარმოადგენს დამწიფების მოკლე სეზონი (3-4 კვირა) და დიდი დანაკარგები ჩვეულებრივ პირობებში შენახვისას ხურმის სწრაფი გაფუჭების გამო.

ვინაიდან სუბტროპიკული ხურმა წარმოადგენს ყინვაგამძლე და მაღალმოსავლიან კულტურას, მოსავლის აღება და აქედან გამომდინარე გადაზიდვის მოცულობა ნედლი სახით წლიდან წლამდე იზრდება. თუმცა, ამჟამად ძალიან დიდია სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების დანაკარგები მათი გაფუჭების გამო ტრანსპორტირებისას. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გაფუჭების დონე დამპალი ნაყოფების სახით, რომლებიც უხვადაა დაფარული ობის მიკროფლორით, აღწევს საშუალოდ 5,7%-ს, ზოგჯერ კი 9%-საც კი.

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების დაწყობით დამწიფების დროს განსაკუთრებით დამახასიათებელია მათი დარბილება, ნაყოფის რბილობი ხდება ჟელესმაგვარი და სკდება. ნაყოფის დარბილებისას სიმწკლარტე ქრება და ისინი იღებენ სასიამოვნო გემოსა და არომატს. ამიტომ დარბილებული ნაყოფები გასაღების ადგილებში სტანდარტით არ ხდება წუნდებული. თუმცა ყურადღება მისაქცევია, რომ ხურმის ერთსა და იმავე პარტიაში შეიძლება იყოს დარბილებული ნაყოფები, რომლებსაც აქვთ კარგი გემო და გააჩნიათ სუფთა,



თვალთ უხილავი მიკროფლორა და მათთან ერთად დარბილებული ნაყოფები, რომლებიც უზვადაა დაფარული ობით და არის დამპლები.

შენახვის დროს ხურმის ნაყოფების ასეთი მრავალფეროვნების გამოკვლევის მიზნით ჩატარდა სამუშაო მიკროფლორის სახეობრივი შემადგენლობის და ხურმის ნაყოფზე მისი განვითარების ხასიათის გამოსავლენად. ხურმის საცდელი პარტიიდან ვიღებდით ობის სოკოებით დაზიანებულ ნაყოფებს, ობის სოკოებს ვთესავდით აგარ-აგარზე და ამოსვლის შემდეგ საბოლოოდ ვადგენდით მათ სახეობრივ შემადგენლობას.

მიკროფლორის იდენტიფიკაციის შემდეგ ვადგენდით, მიკროფლორის რომელი სახე წარმოადგენდა ხურმის გაფუჭების პირველად ფაქტორს და როგორი იყო მათი ზემოქმედება თითოეული კულტურის ნაყოფებზე ცალ-ცალკე. ამისათვის წინასწარ მომზადებულ ბოქსში მოხდა ნაყოფების გარეცხვა სპირტში და გაშრობის შემდეგ სტერილური სკალპელით გაიჭრა ნაყოფის კანი (ჭრილობის სიგრძე - 10სმ, სიღრმე - 1,5სმ) და მოხდა ნაყოფის დაავადება ობის ერთი ან რამდენიმე სახით, ცდის ვარიანტისაგან გამომდინარე. შემდეგ ნაყოფები მოვათავსეთ სტერილურ ჭურჭელში, რომელშიც ჰაერცვლა ხორციელდებოდა ბამბის შუაშრის საშუალებით. დადგინდა ობის ზრდის სიჩქარე ტემპერატურაზე და არის აქტიურ მჟავიანობაზე დამოკიდებულებით, როგორც აგარ-აგარზე, ასევე ხურმის ნაყოფის რბილობაზე. ობის ზრდა შევაფასეთ როგორც ვიზუალურად, ისე რაოდენობრივად გამომშრალი სოკოს მიცელის აწონვის გზით. ეს განხორციელდა შემდეგნაირად: პეტრის ჯამზე ამოსული სოკოს მიცელა ჩამოირეცხა აგარ-აგარიდან კულტურიანი პეტრის ჯამის წყალში ჩაშვების გზით, რომელიც გაცხელებული იყო 85-95°C -მდე. ამასთან, აგარ-აგარი გაიხსნა, ხოლო სოკოს მიცელა შეიხვა მჭიდრო ფირზე. მიცელის ფირი, გარეცხილი ბიუხნერის ძაბრში ცხელი წყლით, გაშრა 65°C ტემპერატურაზე მუდმივ წონამდე დაყვანით და შემდეგ აიწონა ანალიზურ სასწორზე.

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების მიკრობიოლოგიური გაფუჭების შესამცირებლად მისი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს ჩატარებული იქნა ცდები ზოგიერთი ანტიბიოტიკის ეფექტურობის დასადგენად. ამ ცდებისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ნივთიერებები: ბორაკი, ბორდოს და ბურგუნდიის ხსნარები, ბორის და ბენზონის მჟავა, ნატრიუმის ბენზომჟავა, გოგირდმჟავას და ამონიუმის ნიტრატის ხსნარები. ეს ნივთიერებები ცდებისათვის ავიღეთ სხვადასხვა კონცენტრაციით. ცდის ჩატარებისათვის შესარჩევ არედ ავიღეთ აგარ-აგარი. ანტიბიოტიკები, გოგირდმჟავას და ამიაკის გამოკლებით შეგვყავდა აგარ-აგარში და სტერილიზდებოდა ავტოკლავში ერთნაირ ატმოსფეროში. ამ წესით მომზადებული აგარი ჩაისხა პეტრის ჯამზე. გაცივებული აგარ-აგარის ზედაპირზე შეგვყავდა გამოსაკვლევი ობის კულტურა და დგინდებოდა ზრდა მისთვის ოპტიმალურ ტემპერატურაზე. გოგირდმჟავას და ამიაკის აქროლადობის გამო ამ ნივთიერებათა ხსნარები შეგვქონდა უშუალოდ სტერილურ აგარ-აგარში.

დაზიანებული ნაყოფების მიკროფლორის გამოკვლევით გამოიყო ობის სოკოები: *Rhizopus nigricans*, *Aspergillus glaucus*, *Penicillium italicum* და საფუარი. ჩამოთვლილი მიკ-



როორგანიზმების აქტივობა ხურმის ნაყოფების გაფუჭებასთან დამოკიდებულებაში მოცემულია ცხრილში 1 და 2. ამ ცხრილებიდან ჩანს, რომ ხურმის ნაყოფების ზედაპირზე არ ვითარდება ობის სოკო *Aspergillus glaucus* და საფუარი (დათესილი იყვნენ ნაყოფებზე ცალცალკე), ხოლო *Rhizopus nigricans* და *Penicillium italicum*-ის განვითარება მიმდინარეობს არაერთგვაროვნად. *Rhizopus nigricans*-ი ფარავს მთელ ნაყოფს და იწვევს მის ლპობას. *Penicillium italicum*-ი იზრდება ნელა და ძირითადად დაზიანებულ ადგილებში.

ცხრილი 1

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფის რბილობზე მიკროფლორის შემოქმედება

ნაყოფების დასნეზოვნებისთვის აღებული მიკროორგანიზმები	ნაყოფების დახასიათება 13 დღის შენახვის შემდეგ
დაუსნეზოვნებელი (საკონტროლო)	კეთილხარისხოვანი
<i>Rhizopus nigricans</i>	დაფარულია ობით, ძალიან არის დარბილებული, დაწყებულია ლპობა
<i>Penicillium italicum</i>	დარბილებულია და დაფარულია ობით მხოლოდ დაზიანებულ ადგილებზე
<i>Aspergillus glaucus</i>	ობის ზრდა არ აღინიშნება, კეთილხარისხოვანი
საფუარი	მიკროორგანიზმების ზრდა არ არის, კეთილხარისხოვანი

ცხრილი 2

სუბტროპიკული ხურმის ნაყოფის რბილობზე ობის შედარებითი აქტიურობა

ნაყოფების დასნეზოვნებისთვის აღებული მიკროორგანიზმები	მიკროფლორის განვითარება ნაყოფების 10 დღის შენახვის შემდეგ
<i>Rhizopus nigricans</i> და <i>Penicillium italicum</i>	განვითარდა ორივე ობი
<i>Rhizopus nigricans</i> და <i>Aspergillus glaucus</i>	უხვად განვითარდა <i>Rhizopus nigricans</i> , <i>Aspergillus glaucus</i> -ის ზრდა არ აღინიშნება
<i>Rhizopus nigricans</i> და საფუარი	უხვად განვითარდა <i>Rhizopus nigricans</i> , საფუარის ზრდა არ აღინიშნება
<i>Penicillium italicum</i> და <i>Aspergillus glaucus</i>	განვითარდა <i>Penicillium italicum</i> , <i>Aspergillus glaucus</i> -ის ზრდა არ აღინიშნება
<i>Penicillium italicum</i> და საფუარი	განვითარდა <i>Penicillium italicum</i> , საფუარის ზრდა არ აღინიშნება
<i>Aspergillus glaucus</i> და საფუარი	მიკროორგანიზმების ზრდა არ აღინიშნება
<i>Aspergillus glaucus</i> , <i>Penicillium italicum</i> და საფუარი	განვითარდა <i>Penicillium italicum</i> , <i>Aspergillus glaucus</i> -ის და საფუარის ზრდა არ აღინიშნება

უფრო სწრაფად *Rhizopus nigricans* ვითარდება ხურმის იმ ნაყოფებზე, რომელთაც აქვთ მექანიკური დაზიანება. ნაჩხვლეტის მქონე ხურმის ნაყოფების ხელოვნური დასნეზოვნების დროს უკვე 7 დღის შემდეგ ნაყოფების მთლიანი პარტიის 31% იყო დამპალი და 10 დღის შენახვის შემდეგ ხურმის მთელი პარტია იყო გაფუჭებული. ნაყოფების დაჟეჟილობის დროს ობი ვითარდება შედარებით ნელა, მაგრამ მაინც 10 დღის შენახვის შემდეგ



ცდისათვის აღებული ნაყოფების 50% იყო დამპალი. ამასთან, დაუზიანებელგარსიანი ნაყოფები 10 დღეზე მეტი ხნით შენახვის შემდეგაც კი დარჩნენ სრულიად ხარისხიანი. დაუზიანებელ ნაყოფებზე შეტანილი ობები ვერ აზიანებენ გარსის ქსოვილებს და ვერ აღწევენ ნაყოფის რბილობში.

დადგენილია, რომ შედარებით აქტიურ ობის სოკოს ხურმის ნაყოფების გაფუჭებასთან მიმართებით წარმოადგენს *Rhizopus nigricans*-ი.

შემდეგ ამოცანას წარმოადგენდა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მიკროფლორის ამ სახის განვითარებაზე. ჩვენ დავადგინეთ, რომ ოპტიმალური ტემპერატურა *Rhizopus nigricans* სოკოს განვითარებისათვის არის 30-32°C, რაც დადასტურებულია როგორც ვიზუალურად, ასევე ამოსული და შემდეგ მუდმივ წონამდე გამომშრალი მიცელის წონით (ცხრ.3).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხურმის ნაყოფის რბილობის ზედაპირზე ობის სოკოს *Rhizopus nigricans* აქვს ზრდისადმი მდგრადობა pH-ის შედარებით დიდ ინტერვალში, ვიდრე აგარ-აგარზე. ეს აიხსნება ხურმის ქიმიური შემადგენლობიდან, რაც გვიჩვენებს, რომ ნაყოფების შაქრიანობა ძირითადად განისაზღვრება ინვერსიული შაქრების არსებობით დაახლოებით 15%-მდე, მაშინ, როცა აგარ-აგარი ამ მიმართებით *Rhizopus nigricans*-ისათვის წარმოადგენს შედარებით ღარიბ საკვებ არეს.

ცხრილი 3

Rhizopus nigricans-ის განვითარების ხასიათი ამოსვლის ტემპერატურაზე დამოკიდებულებით

ამოსვლის ტემპერატურა, °C	მიცელის ზრდის ხასიათი	
	ვიზუალურად	მშრალი მიცელის წონიდან, გრ
0-5	-	-
18-20	+	0,0634
30-32	++++	0,2568
37	+++	0,2098
45	×	-
60	-	-

შენიშვნა: ++++ მძაფრი ზრდა +++ კარგი ზრდა ++ სუსტი ზრდა
 + ცუდი ზრდა × დაქვეითებული ზრდა - ზრდის უქონლობა

Rhizopus nigricans-ის მიმართ ზოგიერთი ანტისეპტიკის ეფექტურობაზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგები მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილიდან ჩანს, რომ შედარებით ეფექტურ ანტისეპტიკს ობის სოკოსათვის *Rhizopus nigricans* წარმოადგენს გოგირდმჟავა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გოგირდმჟავა ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში როგორც კარგი კონსერვანტი, იოლად ცილდება პროდუქტიდან და დიდი რაოდენობით გამუმუშავდება ქიმიური პრეპარატებით.



Rhizopus nigricans-ზე ანტისეპტიკების ეფექტურობის ხასიათი

ანტისეპტიკები	ანტისეპტიკების კონცენტრაცია, %					
	0,05	0,10	0,15	0,25	0,50	1,00
ბორდოს ხსნარი	+++	+++	+++	+++	+++	+++
ბურგუნდიის ხსნარი	+++	+++	+++	+++	+++	+++
ბორისმჟავა	+++	++	+	+	×	-
ბენზონის მჟავა	+++	-	-	-	-	-
გოგირდმჟავა	+++	-	-	-	-	-
ამონიუმის ჰიდრატი	×	×	×	×	-	-

ამრიგად, სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების დამზადების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების დროს ადგილი აქვს მათ მნიშვნელოვან დაზიანებას. ამ დაზიანებას იწვევს ხურმის ნაყოფებისადმი შედარებით აქტიური ობის სოკო Rhizopusnigricans-ი. ხურმის ნაყოფის რბილობი შაქრიანობით და აქტიური მჟავიანობით ამ მიკროფლორისათვის წარმოადგენს ხელსაყრელ საკვებ არეს. ობის სოკოების განვითარებას ასევე ხელს უწყობს ტემპერატურული პირობები, რომლებშიც იმყოფება ნაყოფები ადების, შეფუთვისა და მოკვლევა-დიანი შენახვის მომენტში გადაზიდვამდე.

ხურმის ნაყოფების გაფუჭების თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია ტარის, შესაფუთი მასალის და შენობის გოგირდმჟავით დამუშავების გზით. ასევე ნაყოფების გადაზიდვით იზომეტრული ტრანსპორტით, რომელშიც ჰაერის ტემპერატურა გაცივებულია ყინულით 5°C -დან 0°C-მდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სუბტროპიკული ხურმის ჯიშების ატლასი. ნიჟარაძე ა.; ფიშმანი გ.; სამარინა ა.; რომანენკო ე. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1965წ.
2. გოგიშვილი ნ.; ლაზიშვილი ლ. - სუბტროპიკული ხურმის ნაყოფიდან მშრალი პროდუქტების წარმოების პერსპექტივები იმერეთში. სუბტროპიკული კულტურები. ანასეული. 2005წ. №1-2. გვ.191-195.
3. ნ. გოგიშვილი - სუბტროპიკული ხურმის ნაყოფის გრანულისებრი ჩირის მიღების ტექნოლოგიური პარამეტრების გამოკვლევა-დამუშავება. მონოგრაფია. ქუთაისი. მზმ პოლიგრაფი. 2009წელი.

STUDY OF THE REASONS OF MICROBIOLOGICAL DECAY OF SUBTROPICAL PERSIMMON WHILE TRANSPORTATION

Nana Gogishvili

PhD of Technologies, Associated Professor, Akaki Tsereteli State University, Kutasi, Georgia

Ketevan Kintsurashvili

Doctor of Technical Sciences, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

While packing and transporting the fruit of subtropical persimmon is considerably damaged. The reason of damage mainly becomes the fungus Rhizopusnigricans which is quite activate in relation with the fruit of subtropical persimmon. The fruit of persimmon, especially its sugary part, which is characterized with particular,



actual acidity becomes profitable area for the fungus to develop. One of the facilitating factors for the development of fungus is the temperature which the fruit has before packaging and transportation.

Decay and damage of the fruit of persimmon can be easily avoided by greasing the packaging material and the storing place with sulphate. It should also be transported by isometric means of transportation where temperature is cooled down by ice from 5 to 0°C.

ИССЛЕДОВАНИЕ ПРИЧИН МИКРОБИОЛОГИЧЕСКОЙ ПОРЧИ СУБТРОПИЧЕСКОЙ ХУРМЫ ПРИ ЕЁ ТРАНСПОРТИРОВКЕ

Гогшвили Нана

Доктор технологии, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Кинцурашвили Кетеван

Доктор технических наук, Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

За период заготовки и транспортировки имеет место значительная порча субтропической хурмы. Эту порчу вызывает наиболее активная по отношению к плодам хурмы плесень *Rhizopus nigricans*. Плодовая мякоть хурмы для этой микрофлоры является благоприятной питательной средой по сахаристости и активной кислотности. Также благоприятствуют развитию плесени температурные условия.

Порча плодов хурмы за время её транспортировки может быть полностью устранена при условии обработки тары, упаковочного материала и помещения сернистой кислотой и перевозки плодов в изометрических транспортах, охлаждаемых до температуры воздуха от 5°C до 0°C.



ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში

მაყვალა ფრუიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ეკატერინე ბენდელიანი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

შორენა ჩაკვეტაძე

აგრონედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგია და ექსპერტიზის სპეციალისტის დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ჩაის პლანტაციების მდგომარეობა, მისგან აღებული ნედლეულის შესწავლა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში (კერძოდ წყალტუბოს, ტყიბულის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში), პლანტაციების საექსპლუატაციო მდგომარეობა და ამ რეგიონებიდან აღებული ნაზი და უხეში ნედლეულის საშუალო ნიმუშებში ქიმიური შედგენილობის შესწავლა, შესაბამისად მათი შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახის ჩაის წარმოების შესაძლებლობა.

გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“ შეიმუშავა. სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ განხორციელების უმთავრეს მიზანს საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და ჩაის წარმოების, მაღალი ხარისხის ჩაის, მათ შორის ბიო ჩაის წარმოების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია განხორციელდება და ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოები შეიქმნება. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ასევე მოსახლეობის დასაქმებას და მათ სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.[1,2]

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, პროგრამის ბენეფიციარებს ტექნიკურ დახმრებას გაუწევს, ჩაის სწორად დამამუშავების ტექნოლოგიების შესწავლის, სერტიფიცირების, მარკეტინგის და სარეალიზაციო არხების შექმნაში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება იმ სტანდარტების დანერგვა, რომელიც აუცილებელია ქართული ჩაის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტზე გასატანად. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული შეღავათებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რაც საქართველოში კოოპერაციის განვითარებას კიდევ უფრო



შეუწყობს ხელს.

თანამედროვე პირობებში, მეჩაიეობის და ჩაის პროდუქტების წარმოების განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციები ეყრდნობა, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ამოცანების გადაჭრას: საქართველოს მოსახლეობის შიგა მოთხოვნილებების უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციაზე; კონკურენტუნარიანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობათა ღონისძიებების დამუშავება; საერთაშორისო ბაზარზე მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის გაზრდა; ტრადიციული საექსპორტო ბაზრების დაბრუნებისათვის აქტიური სამარკეტინგო პოლიტიკის გატარება; საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების გაუმჯობესება.

ვარდი (ლათ. *Rosa*) - მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისაა. ცნობილია დაახლოებით 400 ველური სახეობა (ასკილი), რომლებიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. საქართველოში 25-მდე სახეობაა. ვარდი მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ბუჩქია, რომლის სიმაღლე 15 სმ-იდან 2 მ-მდე აღწევს. ზოგიერთ სახეობას გრძელი (10-12 მ-მდე) ხვიარა ტოტები აქვს, ღერო დაფარულია ეკლებით. ფოთოლი კენტფრთისებრია, ღეროზე მორიგეობით განლაგებული. ყვავილი მარტივია ან ბუთხუზა (2-15 სმ დიამეტრის), არომატული ან უსუნო; ფერად ვარდისფერი, წითელი, თეთრი, ყვითლი, ნარინჯისფერი ან იასამნისფერი. შეკრებილია ქოლგისებრ-საგველა ყვავილედებად ან ერთეულია. ნაყოფი ერთთესლიანი (ზოგჯერ რამდენიმე თესლიანი) კაკლუჭაა, რომელიც ხორცოვან ცრუნაყოფშია.

ვარდის გვარი იყოფა 4 ქვეგვარად, რომელთაგან ყველაზე დიდია *Rosa*, იგი მოიცავს 192 სახეობას. აქედან განვითარდა შემდგომში ბალის ვარდები. ბალის ვარდების ბევრი ჯიშში წარმოიშვა კვირტოვანი მუტაციისა და მათგან შერჩეული ძვირფასი სამეურნეო ფორმებისაგან. ვარდის ბევრი სახეობა ბუნებრივ პირობებში ადვილად ეჯვარება ერთმანეთს და წარმოქმნის სახეობათაშორის ჰიბრიდებს. ვარდების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა აზია (ჩინეთი, შუააზია, ამიერკავკასია), უფრონაკლებია ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ცნობილია ვარდის 25 ათასი ჯიში და ფორმა, რომლებიც იყოფა 3 ჯგუფად, ესენია: მარადმწვანე ბუჩქები, ფოთოლმცვენია ბუჩქები და ლიანები.

ვარდი მრავლდება საკუთარ ფესვზე დაკალმებით, ამონაყარით, ბუჩქის დაყოფითა და გადაწვენით; ბალისა და საპარკე ვარდების უმეტესობა - კვირტით მცნობით და კალმით. საქართველოში მცნობა ტარდება ივნისიდან-ოქტომბრამდე, ხოლო რგვა - გაზა-ფხულსა და შემოდგომაზე. მის მოსამშენებლად საუკეთესოა დაწრეტილი (დრენირებული) თიხნარი, ქვიშნარი, ქვიშიანი და თიხიანი ნიადაგები.

ვარდს იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში და ჰიბრიდიზაციისათვის. ზოგიერთი სახეობა (კაზანლიკური ვარდი) გამოიყენება ეთეროვანი ზეთების მისაღებად. ვარდისგან ამზადებენ აგრეთვე მურაბას. ბევრი სახეობის ცრუ ნაყოფის რბილობი შეიცავს C, ნაწილობრივ P ვიტამინს. საქართველოში ვარდი უძველესი დროიდანაა კულტივირებული. 1948 წლიდან თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკურ ბაღებში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ვარდის ინტროდუქციასა და ჰიბრიდულ სელექციაში.

ვარდის გავრცელებული დაავადებებია: ნაცარი, ჟანგა, ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების შავი ლაქიანობა და სხვა. მავნებლებიდან ვარდს აზიანებს ბუგრი, ხერხია, ფოთლიხვევია და სხვა, რომელთაც ებრძვიან ბი-58 და ფოსფორორგანული პრეპარატებით.

ცნობილი ვარდის 2500-ზე მეტი ჯიშიდან ეთეროვანი ზეთის მისაღებად გამოიყენება მხოლოდ რამოდენიმე: *Roza damascene* Mill - დამასკოს ვარდი; *Roza gallica* - გალიის (პროვანსული, წითელი) ვარდი; *Roza centifolia* - ასფურცელა ვარდი; *Roza alba* - თეთრი ვარდი; *Roza de mai*- მაისის ვარდი და სხვა. ეთეროვანი ზეთის მისაღებად



იყენებენ ზოგიერთ დეკორატიულ ვარდსაც. ეთეროვან ზეთს ღებულობენ ეთერზეთოვანი ვარდის ყვავილებიდან.

ვარდის ეთეროვან ზეთს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მას ძირითადად იყენებენ უმაღლეს პარფიუმერიაში (90-95%) – სუნამოების, ნელსაცხებლების, დეზადორების, შამპუნების და სხვათა დასამზადებლად. ვარდის ეთეროვან ზეთს იყენებენ კვების მრეწველობაში – საკონდიტრო ნაწარმების, მაგალითად: ლიქიორების, უალკოჰოლო სასმელების, აღმოსავლური ტკბილეულობის და სხვათა დასამზადებლად. ვარდის ყვავილებიდან (გვირგვინის ფურცლები), ამზადებენ მურაბებს, სიროფებს, იყენებენ ჩაის, თამბაქოს არომატიზაციისათვის.

ვარდის ეთერზეთის სურნელებას და ხარისხს განსაზღვრავს: ტერპენული (ციტრონელოლი, გერანიოლი, ნეროლი, ლინალოლი) და არომატული (ფენილეთილის) სპირტები. ის შეიცავს რთულ ეთერებს, ფენოლებს (ევგენოლისა და მეთილევგენოლის ნაერთები). ფენილეთილის სპირტის შემცველობა 60-85%-ია. ტერპენული სპირტებიდან ციტრონელოლი განაპირობებს ვარდის სურნელებას, რომელიც 35%-ია. ეთერზეთის წარმოქმნა რთული ბიოქიმიური პროცესია. ეთერზეთი გროვდება სპეციალურ საცავებში გვირგვინის ფურცლების ეპიდერმისის ზედა უჯრედებში, რომელიც ყვავილის გამლისთანავე ნახტომისებურად წარმოიქმნება.

მიუხედავად ეთერზეთოვანი ვარდის მრავალმხრივი გამოყენებისა, მისი წარმოების ძირითადი მიზანია ნატურალური ეთეროვანი ზეთის მიღება, რომელიც „არომატულ ოქროდაა“ წოდებული და ძვირადღირებული პროდუქტია. მსოფლიო ბაზარზე უმაღლესი ხარისხის 1 კგ ვარდის ზეთი ინტერნეტში მოძიებული მონაცემებით 4200-6000 ევროდაა შეფასებული (სხვა მონაცემებით 8000 ამერიკულ დოლარადაც). ხოლო ყირიმული (სიმფეროპოლი) ზეთის ფასი უფრო ნაკლებია - 4500 დოლარი. ამდენად, ვარდის ზეთი ოქროზე ბევრად ძვირია [2].

ბოლო ათეული წლების წინ ვარდის ფართობები თანდათანობით შემცირდა და საწარმოო მნიშვნელობა დაკარგა, ქარხნებიც დაიხურა. 2010 წლიდან იყო რამოდენიმე მცდელობა ვარდის გადამამუშავებელი ქარხნების წარმოებაში გაშვებისა მაგრამ ისიც უშედეგოდ დამთავრდა, საქართველოში ეთეროვანი ზეთების ნედლეულის უქონლობის გამო არსებულმა საწარმოებმა შეწყვიტა მუშაობა. 2014 წლიდან განახლდა ლაგოდების რაიონში ვარდის ახალი სამრეწველო ჯიშების, კერძოდ Roza damascene Mill - დამასკოს ვარდის გაშენება. გაშენებული იქნა ვარდის პლანტაცია 82 ჰა ფართობზე. აგებული იქნა ვარდის ეთერზეთის მისაღები ქარხანა, დამონტაჟდა ვარდის ახალი გამოსახდელი ტექნოლოგიური მოწყობილობები, ნახ.1.



ნახ. 1 ლაგოდების ეთერზეთების ქარხანა

პირველი მოსავალი დამასკოს ვარდის პლანტაციიდან აღებულ იქნა 6 ჰა ფართობზე. ახალგაშენებული პლანტაციის ვარდის ნედლეულიდან მიღებული იქნა ეთეროვანი ზეთი ჰიდროდისტილაციის მეთოდით. ამ საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი.[3]

ვარდის ეთეროვანი ზეთი, რომელიც წარმოადგენს ეთეროვანი ზეთების ერთ-ერთ ძვირფას სახეობას, მიღებული იქნა დამასკოს ვარდიდან ლაგოდების რაიონის ახალ ეთერზეთების ქარხანაში. დამასკოს ვარდის ეთერზეთის გამოსავლიანობამ შეადგინა 0.033%.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. კახნიაშვილი - ეთერზეთების და ცხიმზეთების წარმოების ტექნოლოგია. აწსუ, ქუთაისი, 2015 წ. 335 გვ.
2. მ. ა. კურდღელია - ეთერზეთოვანი ვარდის ეთერზეთის შემცველობის დინამიკა და კომპონენტების შემადგენლობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები–„ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“ ქუთაისი 2–3 ივნისი 2013, გვ.33–35.
- 3, მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი - ვარდის ეთერზეთის წარმოების პერსპექტივები საქართველოში. რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „ახალგაზრდა აგრო-კოსები“ ნაშრომთა კრებული. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 51-56.

OPPORTUNITIES IN GEORGIA'S PRODUCTION OF ESSENTIAL OILS

Makvala Pruidze

Candidate of Technical Sciences. Academic Doctor, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Georgi Chakhnashvili

Doctoral candidate at PECIAL-technology and expertise agrosyrya, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Summary

In the work considers essential-oil plants in Georgia, the possibility of their production, the scope of use. As well as the present state of production of rose essential oil and the possibility of its production in Georgia.



ВОЗМОЖНОСТИ ПРОИЗВОДСТВА ЭФИРНЫХ МАСЕЛ В ГРУЗИИ

Приудзе Маквала

Кандидат технических наук, Академический доктор, Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Чахнашвили Георгий

Докторант по специальности –технология и экспертиза агросырья, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

В труде рассмотрены эфиромасличные растения Грузии, возможности их производства, сферы употребления. А так же современное положение производства розового эфирного масла и возможности его производства в Грузии.



შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში

ეთერ ბენიძე

სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

რამაზ კილაძე

სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

იზა ოჩხიკიძე

სმ აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

გეოგრაფიული ზონების სინათლის რეჟიმის თავისებურება განაპირობებს მათი ლანდშაფტის ხასიათს. შუქ-ჩრდილი გამოავლენს სივრცობრივი ფორმების მოცულობებს, განაპირობებს გარემოს ფერადოვან აღქმას, ქმნის მზით განათებული სივრცეების და დაჩრდილული ნარგავების კონტრასტს. პეიზაჟის მხატვრული გამომსახველობა დიდად არის დამოკიდებული მთელი კომპოზიციის ორიენტაციაზე ჰორიზონტის მხარეების მიმართ. მზის სხივების დაცემის კუთხის ცვალებადობასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება პეიზაჟების და მათი ელემენტების სივრცობრივ-მოცულობითი მახასიათებლები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პეიზაჟების და მათი ელემენტების ხელოვნურ განათებას საღამოს და ღამის პერიოდში.

ლანდშაფტურ არქიტექტურაში განათებულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კლიმატთან, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ადამიანისა და მცენარისათვის ეკოლოგიურად ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. ამ შემთხვევაში განათებულობა განხილული უნდა იქნეს როგორც კლიმატის შემადგენელი ნაწილი.

გეოგრაფიულ ზონებს აქვს თავისი სინათლის რეჟიმი, რომლის თავისებურება განაპირობებს მათი ლანდშაფტის ხასიათს. ასე მაგალითად, ჩრდილოეთის ზონების გაბნეული, რბილი ტონი, სადაც ხშირია ღრუბლიანი ამინდი და ნისლი, აღრმავებს პეიზაჟების პერსპექტივას, არბილებს ყვავილნარების სიკაშკაშეს, ხეების და ბუჩქების კონტურების სიმკვეთრეს. სამხრეთის განედებში, პირიქით, შუადღის მზე მკვეთრად გამოყოფს საგნებსა და მათ ჩრდილებს, აძლიერებს ფერების სიკაშკაშეს, ვიზუალურად ამცირებს პერსპექტივის სიღრმეს. განათებულობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს საპარკო კომპოზიციების სივრცობრივ-მოცულობით პლასტიკას. განათებულობის ხასიათი ძლიერ მოქმედებს ადამიანის განწყობაზე, მის გადაწყვეტილებაზე აირჩიოს ესა თუ ის დასასვენებელი ადგილი, ან მოძრაობის მარშრუტი. განათებულობის ვიზუალურად აღქმად გრადაციებს შუქ-ჩრდილები ეწოდება.

შუქ-ჩრდილი გამოავლენს სივრცობრივი ფორმების მოცულობებს, განაპირობებს გარემოს ფერადოვან აღქმას, ქმნის მზით განათებული სივრცეების და დაჩრდილული ნარგავების კონტრასტს, ჩრდილების ორნამენტს გზებზე, მოედნებზე და შენობების



კედლებზე, თანმიმდევრულ რითმს ხეივანების გზებზე. მასივები, ბოსკეტები, ხეივანები ქმნიან დახურულ სივრცეებს, დაჩრდილულ ადგილებს დასვენებისათვის.

პეიზაჟის მხატვრული გამომსახველობა დიდად არის დამოკიდებული მთელი კომპოზიციის ორიენტაციაზე ჰორიზონტის მხარეების მიმართ. ასე მაგალითად, ნაკადულების და ჩანჩქერების სამხრეთის ორიენტაცია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ფერების სიკაშკაშის მდიდარი ეფექტები – მზის სხივების თამაში წყალზე, მისი ბრწყინვალეობა, სიკაშკაშე. დიდი წყლის სივრცის (ტბა, წყალსატევი, ზღვა და სხვა) სამხრეთის ორიენტაცია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მზის და მთვარის არეკვლის ეფექტი.

ჩრდილოეთ განედებში პარკები სასურველია განთავსდეს სამხრეთის ორიენტაციის ფერდობებზე, ხოლო სამხრეთ განედებში – ჩრდილოეთის, სადაც ჩრდილები წაგრძელებულია, ხოლო დაჩრდილული ტერიტორიები გადიდებული. თუმცა პარკების შექმნის პრაქტიკა ხშირად განპირობებულია არსებული რეალობით.

მზის სხივების დაცემის კუთხის ცვალებადობასთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება პეიზაჟების და მათი ელემენტების სივრცობრივ-მოცულობითი მახასიათებლები.

მზის სხივები, საგნების სხვადასხვა ზედაპირზე დაცემის დროს ნაწილდებიან სხვადასხვაგვარად და განსხვავებულად ანათებენ ზედაპირის გარკვეულ ნაწილებს. ზედაპირის განათება დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: მზის სხივების დაცემის კუთხე, სინათლის წყაროს სიძლიერე, სინათლის წყაროს დამორება გასანათებელ ზედაპირამდე. ზედაპირის ნაწილები, რომლებზეც საერთოდ არ ეცემა სინათლის წყაროს პირდაპირი სხივები, ექცევიან ან ჩრდილში. ანსხვავებენ საკუთარ და დაცემულ ჩრდილებს. საგნის განათებული ზედაპირი ირეკლავს მასზე დაცემულ სინათლის სხივებს და ისინი სხვა საგნებზე არ ეცემიან. ამგვარად, საგნის სინათლის წყაროსგან დაფარულ მხარეს იქმნება გაუნათებელი ზედაპირი. სინამდვილეში არ არსებობს ისეთი ჩრდილი, სადაც საერთოდ არ ეცემა სინათლე. ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველ სხეულს ანათებს არა მარტო სინათლის ძირითადი წყარო, არამედ ირგვლივ არსებული საგნებიდან არეკლილი სხივებიც. სინათლეს, რომელიც აირეკლება ირგვლივ არსებული საგნებიდან, ეწოდება რეფლექსი. რეფლექსები ხაოიანი ზედაპირის მქონე საგნებზე მცირედ არის შესამჩნევი, გლუვზე და პირზე კი კარგად მოჩანს. მზრწყინავ ზედაპირზე სინათლე ქმნის არეკლილ, მანათობელ ლაქებს – ბლიკებს. ნახევრად ჩრდილები წარმოიქმნება მოღუნულ, მომრგვალებულ განათებულ ზედაპირებზე. ცილინდრული სხეულების ზედაპირზე ჩვეულებრივ არ არის მკვეთრი გადასვლა სინათლიდან ჩრდილამდე. საგნებიდან დაცემული ჩრდილის სიგრძისა და მიმართულების განსაზღვრისათვის აუცილებელია საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის გეოგრაფიული განედის, საგნის სიმაღლის (მცენარე, შენობა), წლის გაკვეთულ პერიოდში მზის სხივების დაცემის კუთხის ცოდნა.



პეიზაჟების ფორმირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი განათების თავისებურებები. სინათლის წყაროს (მზე, ნათურა) და გასანათებელი სხეულის (ხე, ხეების ჯგუფი, ქანდაკება, ყვავილნარი) ურთიერთგანლაგების მიხედვით, არსებობს განათების შემდეგი ტიპები: ფრონტალური, გვერდითი და კონტრაჟურული (სურ.1, სურ.2).



სურ. 1. დიაგონალური განათება
(სეპტონ პარკი, ინგლისი)



სურ. 2. კონტრაჟურული განათება
(სეპტონ პარკი, ინგლისი)

ფრონტალური განათების დროს სინათლის წყარო მდებარეობს უშუალოდ საგნის წინ. ამ შემთხვევაში შუქ-ჩრდილები ნაკლებადაა გამოხატული. გვერდითი განათების დროს სინათლის წყარო მდებარეობს საგნის გვერდით. არჩევენ აგრეთვე დიაგონალურ განათებას, ესაა განათება ფრონტალურ და გვერდითს შორის. გვერდითი და დიაგონალური განათების დროს შუქ-ჩრდილების გადასვლები მკვეთრადაა გამოხატული, საგნის ზედაპირი ხდება უფრო მოცულობითი. ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურია დილის და საღამოს სხივები, რომლებიც დედამიწას მცირე კუთხით ეცემიან. კონტრაჟურული განათების დროს საგანი მდებარეობს სინათლის წყაროსა და მნახველს შორის. გამჭოლი სინათლის გავლენით ძლიერდება მცენარეების ფოთლებისა და ყვავილების ფერი, ღრმავდება სივრცე ცალკე მდგომი მცენარეების ირგვლივ, გამოიხატება მკვერივი ჯგუფებისა და ხეების სილუეტები.

პეიზაჟების გამომსახველობა დიდად არის დამოკიდებული მხარეების მიმართ მათ ორიენტაციაზე. მხარეების მიმართ ორიენტირებული საპარკო კომპოზიციების და მათი ელემენტების პროექტირების დროს დადგენილი უნდა იქნეს კომპოზიციის ხედვის წერტილი, განათების ტიპი, დღის პერიოდი (დრო) და განათების ეფექტის ხანგრძლივობა, მისი ხასიათი. ასე მაგალითად, ჩრდილოეთის ორიენტაციის ტყისპირები დღის უმეტეს პერიოდში დაჩრდილულია, მათი გამომსახველობა შეიძლება გაძლიერდეს ნათელ ვარჯიანი და თეთრი ფერის ყვავილებიანი მცენარეების შეტანით. სამხრეთის ორიენტაციის ტყის პირებს შუადღისას აქვთ ფრონტალური განათება, რაც ამცირებს მათ მოცულობით პლასტიკას. ტყის პირებისათვის ყველაზე საინტერესოა მათი



აღმოსავლეთის და დასავლეთის ორიენტაცია. ღია სივრცეების პროექტირების დროს ძირითადად გაურბიან მათ ორიენტაციას სინათლის წყაროებისაკენ. თუმცა შემხვედრი სხივების სწორი გამოყენების შემთხვევაში საინტერესო ეფექტები შეიძლება იქნეს მიღებული.



სურ. 3. ხელოვნური განათება

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პეიზაჟების და მათი ელემენტების ხელოვნურ განათებას საღამოს და ღამის პერიოდში (სურ. 3). თავისი ხასიათით ეს ახლოსაა თეატრალურ განათებასთან. საპარკო ტერიტორიების განათების სისტემის გააზრების დროს გამოვლენილი უნდა იქნეს ახალი ხედვის წერტილები, რომლებიც არ არის სა-

ინტერესო დღის განმავლობაში. ღამის განათებაში იქმნება სინათლის და ჩრდილის ეფექტური მორიგეობა, გამონათდება ფოთლების მოზაიკა, ტოტების ნახატები, იცვლება ფოთლების, გაზონების, ყვავილნარების ფერები. სინათლის სხვადასხვა წყაროები იძლევიან განსხვავებულ ფერადოვან გამას. ვერცხლისწყლიანი გამანათებლები იძლევიან მოცისფრო-ძვანე ნათებას. მათ იყენებენ წიწვოვანი მცენარეების განათებისათვის; ნატრიუმის – ოქროსფერს, ასეთი განათების დროს უფრო ეფექტური ხდება შემოდგომის ხეების და ბუჩქების განათება; ნეონის – წითელს. ფერადოვანი ეფექტების მისაღებად აგრეთვე იყენებენ ოპტიკურ სარკეებს, ფერადოვან ფილტრებს და სხვა. სინათლიდან ჩრდილზე მკვეთრი გადასვლის შესარბილებლად იყენებენ დაბალი სიმძლავრის დამატებით პროექტორებს, რომლებიც საგნებს 45⁰-ით ანათებენ. წყლის ნაკადები ნათდება წყალგაუმტარი წყლისქვეშა პროექტორებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ე., ტყავაძე მ., ოჩხიკიძე ი. ლანდშაფტური ხელოვნება. აწსუ-ის გამომცემლობა, ქუთაისი, 2014 წელი, 309 გვ.
2. Боговая И.О., Фурсова Л.М. Ландшафтное искусство. Москва, «Агропромиздат», 1988 г. 222 стр.

LIGHT AND SHADES RELATIONS IN LANDSCAPE ARCHITECTURE

Ether Benidze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Ramaz Kiladze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Iza Ochkhikidze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Summary

Geographic zones have their light regime, which characteristic stipulates nature of their landscape. It is one of the significant factors, which develops park composition space plastics. Light and shade displays volumes



of distance forms, stipulates colorful perception of environment, makes contrast of sunny spaces and shade plants, ornaments of shadows, consecutive rhythm on the way of alleys. Artistic expressiveness of landscape is greatly depended on orientation of the whole composition to horizon sides. Together with changeability of sunlight angle the space characters of the landscapes and their elements are changed significantly. Sunbeams are differently distributed when they fall on the surface of various subjects and they differently light distinct parts of surface. According to disposition of the source of light and lighting body there are three types of lighting: frontal, lateral and contr-ajour.

Artificial lighting of the landscapes and their elements in the evening and at night is very important, which is closer to theatrical lighting.

ВЗАИМООТНОШЕНИЯ СВЕТО-ТЕНИ В ЛАНДШАФТНОЙ АРХИТЕКТУРЕ

Бенидзе Этер

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Киладзе Рамаз

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Очхикидзе Иза

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Резюме

Каждая географическая зона характеризуется своим световым режимом, особенность которого обуславливает характер их ландшафтов и является важным фактором, который создает объемно-пространственную пластику парковых композиций. Свето-тени выявляют объемы пространственных форм, обеспечивают цветовое восприятие окружения, создает контраст между освещенными и затененными насаждениями, орнаменты теней, последовательный ритм на дорогах олей и др. Художественная выразительность пейзажей во многом зависит от ориентации всей композиции к сторонам света. С изменением угла падения солнечного луча значительно меняются объемно-пространственные характеристики пейзажей и их элементов. При падении на разные поверхности солнечные лучи распределяются по разному и по разному освещают определённые участки поверхности. По взаиморасположению источника освещения и освещаемого объекта выделяют три типа освещения – фронтальный, боковой и контражурный. Особое значение имеет искусственное освещение пейзажей и их элементов в вечернее и ночное время, что по своему характеру близко к театральному освещению.



ქ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია

ეკატერინა გუბელაძე

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ქუჩების გამწვანება-კეთილმოწყობის საკითხების გადასაჭრელად საჭიროა მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს ფლორისტულ გაფორმებას და მცენარეთა მხატვრული კომპოზიციების მაღალ დონეზე გადაწყვეტას. ამ მიზნით შესწავლილ იქნა ქ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარების და გამწვანების რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის დროს მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ქუჩის გაზონებზე არსებული ჰიმალაის კედლების რიგობრივი ნარგაობა ქუჩის ორივე მხარეზე. იგივე სახეობას დავამატებთ ქუჩის აღმოსავლეთით ერთ-ერთ მონაკვეთზე. კედლების ხეივნის ეფექტის გაძლიერების მიზნით სრულიად ახალი ნარგაობა შეიქმნა ჭავჭავაძის გამზირიდან ბოლო ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლამდე ჭადრისფოთლებზე ნეკერჩხლებით. ასევე ვითვალისწინებთ ასათიანის ქუჩის გამწვანებას აღმაშენებლის გამზირიდან სამკერვალო ფაბრიკის დასახლებამდე და დასავლეთით. სულ დამატებული ხე-მცენარეთა რაოდენობა შეადგენს 264 ძირს. აქედან წიწვოვნებზე მოდის 30 ძირი, ფოთლოვან მცენარეებზე კი 234 ძირი.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ცივილიზაციის მაღალი დონე, მნიშვნელოვან მოთხოვნებს უყენებს ადამიანის საარსებო გარემოს კეთილმოწყობას. დღეს, როდესაც განსაკუთრებით მაღალია ქალაქის ურბანიზაციის დონე, წარმოდგენილია ადამიანის არსებობა კომფორტული, საცხოვრებელი და საწარმოო პირობების გარეშე. გარემოს კეთილმოწყობის საკითხში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს როგორც საერთო, ისე შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავების გაშენებას. გამწვანება-კეთილმოწყობის საკითხების გადასაჭრელად საჭიროა მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს ფლორისტულ გაფორმებას და მცენარეთა მხატვრული კომპოზიციების მაღალ დონეზე გადაწყვეტას. გავითვალისწინეთ, რა ყოველივე ზემოთ აღნიშნული, გადავწყვიტეთ შეგვეწავლა ქ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის ძველი გეგმარება და შევიმუშავეთ მისი გამწვანების რეკონსტრუქციის გეგმა.

ქ. ქუთაისში ლ. ასათიანის ქუჩის რეკონსტრუქციის დროს პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ მისი გეგმარების საკითხზე. როგორც არსებული მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა საპროექტო ქუჩა მოიცავს ორ მონაკვეთს. I მონაკვეთის ტროტუარის განი უმეტეს შემთხვევაში 2,5 მ-ით განისაზღვრება, ამიტომ რეკონსტრუქციისას აქ ქუჩის გაზონის დამატება დაუშვებელია. რაც შეეხება II მონაკვეთს, რომელიც მდებარეობს ქანთარიას ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირამდე, იგი ხასიათდება საკმაოდ განიერი ტროტუარებით, რაც განაპირობებს ქუჩის გაზონების გამოყოფის შესაძლებლობას. აღნიშნული მონაკვეთის მთელ სიგრძეზე წარმოდგენილია ქუჩის გაზონები, რომელთა



განი 2,5 მ-ით განისაზღვრება. ტროტუარის განივი 4,5 მ-ია. რაც სავსებით პასუხობს ქუჩების დაგეგმარების მოთხოვნებს. ეს შეეხება საპროექტო ქუჩის მხოლოდ დასავლეთ ნაწილში. იგივეს ვერ ვიტყვით მის აღმოსავლეთ ნაწილზე, რომელიც შედარებით ნაკლებად არის კეთილმოწყობილი. აქ ქუჩის გაზონებს სამკერვალო ფაბრიკის გასწვრივ მხოლოდ 100 მ-ის სიგრძეზე და აგრეთვე ჭავჭავაძის გამზირიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების ბოლომდე დაახლოებით 250 მ-ის სიგრძეზე. შემდეგ 100 მ-ზე ინდივიდუალური საკარმიდამო ეზოების გასწვრივ ტროტუარის განი 1,5 მ-ია. ასათიანის ქუჩის აღმოსავლეთ ნაწილში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქუჩის გაზონების დაპროექტება დარჩენილ 300 მ სიგრძის ტროტუარზე, რითაც შეივსება ამჟამად არსებული ინტერვალი ქუჩის გაზონებს შორის და ქუჩა მიიღებს გეგმარების თვალსაზრისით დასრულებულ სახეს.

ასათიანის ქუჩის ტერიტორიის ბალანსის ცხრილი 1-დან ჩანს, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ ცვლილება განიცადა მხოლოდ ტროტუარებისა და ქუჩის გაზონების ფართობმა. საგრძნობლად მოიმატა ქუჩის გაზონების ფართობმა ტროტუარის ფართობის შემცირების ხარჯზე საპროექტო ქუჩის მე-2 მონაკვეთში. კერძოდ, იგი გაიზარდა 750 მ²-ით. რეკონსტრუქციის შემდეგ უცვლელი დარჩა ასათიანის ქუჩის I მონაკვეთის გეგმარება ტროტუარის სივიწროვის გამო. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ამ მონაკვეთის გამწვანება, რადგანაც იგი საჭიროებს დაჩრდილვას მზის პირდაპირი რადიაციისაგან ფეხით მოსიარულეთა დაცვის მიზნით. ასათიანის ქუჩა მერიდიანული მიმართულებისაა და დღის უმეტეს პერიოდში მოქცეულია მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ. განსაკუთრებით ზაფხულში. რადგანაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია გაზონების დაპროექტება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხე-მცენარეების დარგვა ინდივიდუალური ჯამებით. რაც შეეხება ასორტიმენტს მათი შერჩევასა თავე შევიკავეთ განიერვარჯიანი ხეების გამოყენებისგან და ქუჩის გამწვანებისათვის ვთავაზობთ იაპონური კვიდოს და ამერიკული ლიქვიდამბრის მორიგეობით ნარგაობას ასათიანის ქუჩის I მონაკვეთის ნახევარზე. მეორე ნახევარში მათ შეცვლის მირზინისფოთლება მუხის და ამერიკული ლირიოდენდრონის მორიგეობითი ნარგაობა. აღნიშნული მონაცვლეობა სასურველია მონოტონურობის თავიდან აცილების მიზნით. მარადმწვანე ფოთლოვანი სახეობების გამოყენებით ვინარჩუნებთ ქუჩის პროფილს მთელი წლის განმავლობაში რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუჩების გამწვანებისას.

ასათიანის ქუჩის მე-2 მონაკვეთის გამწვანება საკმაოდ საინტერესოდ არის ჩატარებული. აქ ძირითადად გვხვდება ჰიმალაის კედრის და აღმოსავლური ჭადრების ნარგაობა, რომელიც ინდივიდუალურად დადებით შთაბეჭდილებას ტოვებენ. ისინი შესანიშნავი ვარჯით და ნორმალური ზრდა-განვითარებით გამოირჩევიან, ამიტომ მათი უმეტესობა გამიზნული გვაქვს შესანარჩუნებლად.

ჭავჭავაძის გამზირიდან დასავლეთით ქუჩა გამწვანებულია აღმოსავლური ჭადრების კარგად განვითარებული ნარგავებით თუმცა ისინი გაუსხლავი ფორმითაა წარ-



მოდგენილი და ნაკლებად ეფექტურია. მათი შენარჩუნება გათვალისწინებულია მხოლოდ გასხვლითი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა მათ გაგრძელებაზე ბაზრის ტერიტორიამდე არსებულმა ჭადრების ნარგაობამ, რომლებიც გამოირჩევიან შესანიშნავი სფეროსებური ვარჯით მათ შორის არსებული ჰიმალაის კედარი დეფორმირებული ნარგავებისგან საჭიროა გამოვანთავისუფლოთ გაზონები და შევინარჩუნოთ ერთგვაროვანი ზოლი, რომელიც კარგად გამოკვეთავს ქუჩას. სასურველია ჭადრების პერიოდული გასხვლა, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება მისი ნაყოფმსხმოიარობა და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი. კედრების ადგილზე უნდა დავმატოვო 3 ძირი ჭადრისფოთლება ნეკერჩხალი. ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე ჭავჭავაძის გამზირიდან დახურულ არხამდე არსებული დეფორმირებულ ვარჯიანი მთრთოლავი ვერხვის ნარგავებს ცვლით ჭადრისფოთლება ნეკერჩხალით, რომელიც როგორც ფოთლების მოზაიკით, ისე ვარჯის ფორმით ჰარმონიულ შეთანაწყობას შექმნის ქუჩის მეორე მხარეზე არსებულ ჭადრებთან. სულ ვამატებთ აღნიშნულ სახეობას 27 ძირის რაოდენობით. არხის შემდეგ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის წინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქალაქის ხის არსებული ნარგავების შენარჩუნება და აღნიშნული სახლის გასწვრივ იგივე სახეობის დამატება, ჭადრების რიგობრივ ნარგაობამდე.

ასათიანის ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე ბაზრიდან საკონსერვო ქარხნის შესასვლელამდე, ბენზინის გასამართ სადგურამდე ქანთარისა ქუჩამდე გაგრძელდა ჰიმალის კედრების უწყვეტი ზოლი, რომელიც მოიცავს კედრების უნიკალურ ეგზემპლარებს რჩება ადგილზე. მხოლოდ აქა-იქ არსებული ინტერვალები საჭიროა შეივსოს იმავე სახეობებით. სულ ემატება 4 ძირი კედარი.

ასათიანის ქუჩის აღმოსავლეთით მრავალსართულიანი სახლების შემდეგ არსებული ინივიდუალური საკარმიდამო ეზოების გასწვრივ, სადაც ტროტუარის განი არ იძლევა მცენარეთა დარგვის საშუალებას, ვითვალისწინებთ ლითონის კარკასის შექმნას ხვიარა მცენარეებისათვის ტროტუარის დაჩრდილვის მიზნით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფოთოლმცვენი ხეფოთლოვანი პარტენოცისუსის და დამფესვიანებელი კამფსისის გამოყენება, რომლებიც ზაფხულიდან შემოდგომის შუა რიცხვებამდე შექმნიან მხატვრულ ეფექტს ყვავილობით და ფოთლების ფერთა ცვალებადობით. სამკერვალო ფაბრიკის შესასვლელამდე, ქუჩის პროფილის აღდგენის მიზნით, ვამატებთ ჰიმალაის კედარის ნარგაობას 25 ძირის რაოდენობით.

ასათიანის ქუჩაზე არსებული შიგა გაზონის რეკონსტრუქციისათვის შენარჩუნებული იქნა ჰიმალაის კედრების რიგობრივი ნარგაობები. გაზონის შიგნით ამერიკული ნეკერჩხალის ადგილზე ვითვალისწინებთ იაპონურ ნეკერჩხლებს 5 ძირის რაოდენობით, რომლებიც სასიამოვნო კონტრაქტს შექმნიან ფოთლების ფერთა ცვალებადობის დროს კედრების გარემოცვაში. ამავე გაზონებზე ვამატებთ ჩინური იუდას ხის ჯგუფებს და სურნელოვანი ოსმანთუსის ორ ეგზემპლარს. ნაგებობებიდან 3 მ-ის დაშორე-



ბით ვრგავთ კავკასიური წყავის ორ სამწევრიან ჯგუფს გაზონის ჩრდილოეთით და სამხრეთით იუდას ხეების უკანა ხედზე.

ცხრილი 1.

ასათიანის ქუჩის ტერიტორიის ბალანსი
 რეკონსტრუქციის შემდეგ

N	ობიექტის დასახელება	სიგრძე მ.	განი მ.	დაკავებული ფართობი	
				მ ²	%
1	ტრანსპორტის სავალი ნაწილი				
	I მონაკვეთი	750	15	11250	-
	II მონაკვეთი	750	20	15000	-
სულ		-	-	26250	64,7
2	ტროტუარი	750	2,5 X2=5	3750	-
	I მონაკვეთი დას.	750	4,5	3375	-
	II მონაკვეთი	650	4,5	2925	-
		100	1,5	150	-
სულ		-	-	10950	27,0
3	ქუჩის გაზონი	750	2,5	1875	-
		650	2,5	1675	-
	სულ	-	-	2750	6,8
4	გაზონი ტროტუარსა და ნაგებობას შორის	40	15	600	1,5
		სულ	-	-	40550

ასათიანის ქუჩის რეკონსტრუქციის დროს მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ქუჩის გაზონებზე არსებული ჰიმალაის კედრების რიგობრივი ნარგაობა ქუჩის ორივე მხარეზე. იგივე სახეობას დავამატებთ ქუჩის აღმოსავლეთით ერთ-ერთ მონაკვეთზე. კედრების ხეივნის ეფექტის გაძლიერების მიზნით სრულიად ახალი ნარგაობა შეიქმნა ჭავჭავაძის გამზირიდან ბოლო ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლამდე ჭადრისფოთლება ნეკერჩხლებით. ასევე ვითვალისწინებთ ასათიანის ქუჩის გამწვანება აღმაშენებლის გამზირიდან სამკერვალო ფაბრიკის დასახლებამდე და დასავლეთით. სულ დამატებული ხე-მცენარეთა რაოდენობა შეადგენს 264 ძირს. აქედან წიწვოვნებზე მოდის 30 ძირი, ფოთლოვან მცენარეებზე კი 234 ძირი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუბელაძე ე., ტყავაძე მ. - ქუთაისის საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობებში თაფლოვანი მერქნიანი პარკოსანი მცენარეების მხატვრულ კომპოზიციებში გამოყენების ნიმუშები. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, № 97, 2007 წ., გვ. 173-176.
2. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორატიული დენდროლოგია. წიგნი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2013 წ. 220 გვ.



3. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2014 წ. 210 გვ.

**PLANNING AND RECONSTRUCTION OF THE LANDSCAPING
ASATIANI STREET IN KUTAISI.**

Ekatherina Gubeladze

Acad. doctor of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

To address the issues of landscaping of the streets we should pay attention to the floral arrangements and high level decisions on art compositions of plants. With this in mind the planning and reconstruction of the landscaping Asatiani str. were considered. During the reconstruction of St. Asatiani the Himalayan Cedar on the lawn on both sides of the street was preserved. The same species are added to one of the Eastern sections of the street. To enhance the effect of cedar Avenue was created by adding Maple from Chavchavadze Ave to the latest five-storey residential buildings. Also in the landscaping of Asatiani street from Agmashenebeli Ave to the area garment factory and the East. 264 of the trees were planted, 30 of which are coniferous and 234 and deciduous trees.

**ПЛАНИРОВАНИЕ И РЕКОНСТРУКЦИЯ ОЗЕЛЕНЕНИЯ
УЛ. АСАТИАНИ В Г. КУТАИСИ**

Губеладзе Екатерина

Акад доктор с/х, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Для решения вопросов озеленения и благоустройства улиц следует обратить внимание на флористическое оформление и высокий уровень решения растительных художественных композиций. С этой целью были рассмотрены планирование и реконструкция озеленения ул. Асатиани. При реконструкции ул. Асатиани были максимально сохранены посадки Кедр гималайского на газонах по обе стороны улицы. Этот же вид добавлен на один из восточных участков улицы. Для усиления эффекта кедровой аллеи была создана новая посадка клена платановидного от пр. Чавчавадзе до последнего жилого пятиэтажного здания. Так же учтено озеленение ул. Асатиани от пр. Агмашенебели до района швейной фабрики и на восток. Всего добавлено 264 дерева, из них 30 хвойных и 234 лиственных деревьев.



პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში

ეთერ ბენიძე

სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

რამაზ კილაძე

სმმკ, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

იზა ოჩხიკიძე

სმ აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

პერსპექტივას უწოდებენ საგნების ვიზუალურ შემცირებას მნახველიდან დაშორების შესაბამისად. ანსხვავებენ ხაზურ და ჰაეროვან პერსპექტივას. ხაზური პერსპექტივა დაკავშირებულია საგნების ზომების ვიზუალურ შემცირებასთან და ფორმის ცვლილებასთან, ხოლო ჰაეროვანი - საგნების სინათლის, სიმკვეთრის და ფერის ცვლილებასთან მნახველიდან დაშორების შესაბამისად. ხაზური და ჰაეროვანი პერსპექტივის კანონები გამოიყენება პარკომშენებლობის პრაქტიკაში როცა უნდათ ილუზორულად უფრო გაადიდონ ან შეამცირონ პარკის ხედის სივრცე. ჰაეროვანი პერსპექტივის ეფექტები დამოკიდებულია ჰაერის სისუფთავეზე, მისი დაბინძურების ხარისხზე, წყლის ორთქლით გაჯერებულობაზე.

პერსპექტივას უწოდებენ საგნების ვიზუალურ შემცირებას მნახველიდან დაშორების შესაბამისად. ანსხვავებენ ხაზურ და ჰაეროვან პერსპექტივას. ხაზური პერსპექტივა დაკავშირებულია საგნების ზომების ვიზუალურ შემცირებასთან და ფორმის ცვლილებასთან, ხოლო ჰაეროვანი – საგნების სინათლის, სიმკვეთრის და ფერის ცვლილებასთან მნახველიდან დაშორების შესაბამისად.

ხაზური პერსპექტივა - პერსპექტივის კანონები აღმოჩენილია აღორძინების ეპოქის ხელოვანების მიერ, რომელთაც გამოიმუშავეს სივრცის აგების მათემატიკურად ზუსტი სისტემა. ლეონარდო და ვინჩი წერდა, რომ ხაზური პერსპექტივის თეორია ხსნის არსებული საგნების მოვლენებს, ზომებს და ფერს სივრცეში მათი მდებარეობის მიხედვით.

ფერწერაში პერსპექტივის კანონებს იყენებენ სიბრტყეზე სამგანზომილებიანი სივრცის გამოსახვისათვის. აქ სივრცის სიღრმის გამოსახვა ხდება საგნების ზომების შემცირებით მნახველიდან მათი დაშორების მიხედვით, საგნების განათებულ და დაჩრდილულ ნაწილებს შორის კონტრასტის შემცირებით, და ბოლოს, ფერის გაჯერებულობის ისეთი ცვლილების გადმოცემით, რომელიც დამახასიათებელია ბუნებისათვის.

ლანდშაფტურ ხელოვნებაში პეიზაჟის სიღრმე არის რეალობა და მოითხოვს შესაბამის მიდგომას. პერსპექტივის კანონების გამოყენება სივრცის გამომსახველობის გაძ-



ლიერების, მისი სიღრმის ხაზგასმის, ან პირიქით შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

სივრცეში პირველი ვიზუალური აღქმა – ეს საგნების რეალური ზომაა, რომლის მიხედვითაც მსჯელობენ თუ რამდენად არის დაშორებული საგანი მნახველიდან. რაც შორსაა საგანი დაკვირვების წერტილიდან, მით მცირე ზომის ჩანს. პარალელური ხაზები, რომლებიც მიდიან მნახველიდან ჰორიზონტალურ სიბრტყეში ერთდებიან ჰორიზონტზე, ჩადაბლებულ სიბრტყეზე – ჰორიზონტის ქვევით, ხოლო ამალღებულზე – ჰორიზონტის ზევით. ამავე დროს, ვერტიკალური ხაზები პერსპექტივაში რჩებიან ვერტიკალური. ამიტომ პარკის ხედებისა და პანორამის ფორმირება დამოკიდებულია მნახველის მდებარეობაზე გარემოში.

რთულ რელიეფზე პარკის ელემენტების პროექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი რეალური და ვიზუალურად შეცვლილი ფორმები და ზომები. მაგალითად, ფერდობზე განლაგებული ოვალური ფორმის მოედანი ხედვის ზედა წერტილიდან აღიქმება როგორც მრგვალი; ბორცვის თავზე განლაგებული საგნები აღიქმებიან უფრო მაღალი და ტანადი; წინა ხედზე განლაგებული დაბალი საგნები ფარავენ უკანა ხედის ზომით მაღალ საგნებს.

სივრცის სიღრმის გადიდების შთაბეჭდილება იქმნება, თუ ხედვის წერტილიდან დაშორების მიხედვით განლაგდება ზომაში თანდათანობით შემცირებული საგნები და მცირდება მათ შორის მანძილები, ან ბოლოსკენ მცირდება ხედვის სხივის სიგანე. ბორცვები და სხვა ამალღებული ადგილები აღიქმებიან უფრო მაღალი, თუ მათზე განლაგებული იქნება ხეები.

იმ შემთხვევაში, თუ უნდათ დროებით დახურონ პეიზაჟის რომელიმე დეტალი, ხოლო შემდეგ გამოაჩინონ ხედვის საუკეთესო წერტილიდან, საკმარისია მნახველის წინ განლაგდეს მჭიდრო ხე-ბუჩქოვანი ჯგუფი. წინა ნაწილში განლაგებული მცირე სხეული დაფარავს უკან განლაგებულ დიდს.


ზოგ შემთხვევაში, პირიქით, უნდათ ვიზუალურად შეამცირონ აღქმადი სივრცე. ეს მიიღწევა თუ მნახველიდან ბოლოსკენ თანდათანობით გადიდდება ხედვის სხივის სიგანე, შუაში მოთავსებული კულისები და მათი რაოდენობა.

მანძილი მნახველსა და გარკვეულ საგანს შორის ოპტიკურად მცირდება, თუ იფარება მათ შორის არსებული სივრცე, რომელსაც არ აძლიერებენ შუალედური კულისებით, არამედ წყვეტენ შეძლებისდამაგვარად ნეიტრალურად ისე, რომ არ იყოს საგნები სივრცის მასშტაბების შესადარებლად. აღნიშნულ მეთოდს იყენებენ იმ შემთხვევაშიც, როცა უნდათ პარკის სივრცეში შეტანილ იქნეს საზღვრის გარეთ განლაგებული საგნები და ხედები. ამ დროს პარკის ზომები საერთოდ ილუზიურად დიდდება (სურ.1, სურ. 2).


ჰაეროვანი პერსპექტივა - სივრცეში დაშორების მიხედვით საგნების ფერის ცვალებადობა ქმნის დაშორების შეგრძნებას, ჰაეროვან სივრცეს. ჰაეროვანი პერსპექტივის ეფექტები დამოკიდებულია ჰაერის სისუფთავაზე, მისი დაბინძურების ხარისხზე,



წყლის ორთქლით გაჯერებულობაზე. ეს მქლავნდება დაშორების მიხედვით სილუეტების სიმკვეთრის და ფერის ცვალებადობაში.



სურ. 1. სიგანის, სიმაღლის და სიღრმის ხაზური პერსპექტივის აგება



სურ. 2. პერსპექტივის სიღრმის ცვლილება კულისების გამოყენებით:

1. სიღრმისაკენ კულისების სიმაღლე იზრდება (ამცირებს პერსპექტივას);
2. სიღრმისაკენ კულისების სიმაღლე მცირდება (პერსპექტივა იზრდება);
3. ხედვის არის თანდათანობითი შემცირება (პერსპექტივა იზრდება).

ლ. რუბცოვს მოყვანილი აქვს დაშორების მიხედვით ფერის ცვალებადობის შემდეგი კანონზომიერება: “პეიზაჟის ფერები ყველაზე სუფთა და მკვეთრია მხოლოდ საგნებთან უშუალო სიახლოვეს. დაშორების მიხედვით ჰაერის ცისფერი ტონი ადებს თავის ელფერს ყოველ ფერს და ცვლის მათ. ჰაეროვანი პერსპექტივის გავლენით სხვადასხვა ფერის საგნები განსხვავებულად იცვლიან ფერს: ყვითელი საგნები ხდება მომწვანო, ნარინჯისფერი – ჭუჭყიანი-წითელი და ასე იისფრამდე; ლურჯი ფერი არ იცვლება სიღრმის მიხედვით, მხოლოდ მუქდება; მწვანე ფერი დაშორების მიხედვით ავლენს ყველა ფერს ლურჯამდე; იგივე ემართება იისფერს, რომელიც დაშორების მიხედვით სწრაფად ქრება. თეთრი ფერი ყველაზე ნაკლებად იცვლება ამიტომ ამ ფერის საგნები, განსაკუთრებით მუქ ფონზე, მოჩანს უფრო ახლოს, ვიდრე სინამდვილეშია. ძალიან დაშორების შემთხვევაში თეთრი ფერი ხდება მოყვითალო, ნარინჯისფერი ფერით და არა მოცისფრო. ძლიერ განათებულ თოვლი ან ზედაპირზე თეთრი საგნები ჩრდილის მხარეს ჩანს მოცისფრო, ხოლო განათებულ მხარეს – ღია-ნარინჯისფერი. შავი ფერი დაშორების მიხედვით ხდება უფრო ღია”.



**სურ. 3. პერსპექტივის გადიდება ბოლოში
 ცისფერი ევკალიპტის გამოყენებით (ბათუმის
 ბოტანიკური ბაღი)**

იმისათვის, რომ შემჩნეულ იქნას სა-
 პარკო ნარგაობის ფერის ცვლა შორ (300-
 500 მ) და საშუალო (50-70 მ) მანძილზე,
 აუცილებელია ერთდროულად იქნეს და-
 ნახული დაშორებული და ახლოს გან-
 ლაგებული მცენარეების მასივები და
 ჯგუფები. მათ შორის ფერების შედარება
 საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს
 სივრცის სიღრმის ცვლილება ცივი ფერე-
 ბის გაძლიერებისა და მათი მკვეთრი
 საზღვრების შეცვლის ხარჯზე (სურ. 3).

ჰაეროვანი პერსპექტივის კანონე-
 ბის გათვალისწინებით მცენარეების ფე-
 რისა და ფორმის შერჩევა საშუალებას
 იძლევა მცირე ზომის ტერიტორიებზეც

კი მიღწეულ იქნას სივრცის სიღრმის მნიშვნელოვანი ცვლილება. ამისათვის ხეები,
 რომლებსაც აქვთ ვარჯის რბილი კონტურები და ფოთლების ცივთან მიახლოვებული
 ფერები, აგრეთვე, ცისფერი და ლურჯი ფერის ყვავილნარები უნდა განთავსდეს ტე-
 რიტორიის შორეულ ნაწილში. მუქფოთლიანი მცენარეების დარგვა დაშორებულ ადგი-
 ლებში ვიზუალურად გაადიდებს ჩრდილს და შესაბამისად სივრცის შორეულ ხედებს.
 ამ დროს წინა ნაწილში უნდა დაირგოს ღიად შეფერილი ვარჯის მქონე ხეები (ვერ-
 ცხლის ფერი, ჭრელი, ოქროსფერი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ე., ტყავაძე მ., ოჩხიკიძე ი. ლანდშაფტური ხელოვნება. აწსუ-ის გამომცემლობა, ქუთაისი, 2014 წელი, 309 გვ.
2. Боговая И. О., Фурсова Л. М. Ландшафтное искусство. Москва, «Агропромиздат», 1988 г. 222 стр.

PERSPECTIVE LAWS' APPLICATION IN GREEN BUILDING

Ether Benidze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Ramaz Kiladze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Iza Ochkhikidze

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Summary

Perspective is called to visual reduction of subjects from viewer in accordance with distance. There are



linear and air perspectives. Linear perspective is connected with visual reduction of subjects and shape changing, and air- with subjects' light, emphasis and colors changing in accordance with distance from viewer.

Application of perspective laws gives opportunity of strengthening of expressiveness, underlining of its depth or on the contrary it gives opportunity of reduction. Whilst design of park elements on a complex relief their real and visually changed shapes and sizes should be considered. Linear perspective law is applied in practice of park building when they want to illusively enlarge or reduce space of the park sight. Air perspective effect is depended on air freshness, quality of pollution, steam saturation. It is exposed in changeability of silhouette emphasis and colors in accordance with distance. According to air perspective law selection of plants color and shape, gives opportunity to achieve significant change of space depth even in small territories.

ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЗАКОНОВ ПЕРСПЕКТИВЫ В ЗЕЛЁНОМ СТРОИТЕЛЬСТВЕ

Бенидзе Этер

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Киладзе Рамаз

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Очхикидзе Иза

Академический доктор сельского хозяйства, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия.

Резюме

Перспективой называется визуальное изменение предметов по мере их удаления от наблюдателя. Различают линейную и воздушную перспективу. Линейная перспектива связана со зрительным уменьшением величины и изменения формы, а воздушная перспектива – изменением яркости и четкости предметов, а также их цвета по мере удаления от точки наблюдения. Использование законов перспективы позволяет усилить выразительность пространства, выявить и подчеркнуть его глубину или, наоборот, зрительно сократить. При проектировании парковых элементов на сложном рельефе должны быть учтены их реальные и визуально измененные формы и размеры. В практике паркостроения используют законы перспективы, когда хотят иллюзорно увеличить или уменьшить видимое пространство. Эффект воздушной перспективы зависит от чистоты воздуха, степени её загрязнённости, от насыщенности парами воды. Это проявляется изменением чёткости и цвета силуэтов по мере их удаления. Подбор цвета и формы растений с учётом законов воздушной перспективы дает возможность даже на малых по размерам территориях достичь значительное увеличение глубины пространства.



ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები

მარინა კუცია

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ანთროპოგენული ტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზები და ბიოსფეროში განვითარებული უარყოფითი ეკოლოგიური პროცესები. გამახვილებულია ყურადღება გარემოში მოხვედრილ ანთროპოგენული წარმოშობის ტოქსიკურ ნივთიერებებზე, რომლებიც იწვევენ სერიოზულ ცვლილებებს ეკოსისტემათა სტრუქტურაში და ცოცხალ ორგანიზმში გროვდებათ საშიშ კონცენტრაციებამდე. მოტანილია მონაცემები სასუქებისა და პესტიციდების არაგონივრული გამოყენების, რომლებიც აბინძურებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს გარემოს დაბინძურებას მაგნე ნივთიერებებით და ტოქსიკურობის გამო გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, რაც ვლინდება სხვადასხვა დაავადებების განვითარებით.

აღნიშნულია ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და პროდუქტების წარმოების ძირითადი მნიშვნელობა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ყველა სახეობის დანაგვიანება, რომელიც თანახლავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

კაცობრიობა, რომელიც ბიოსფეროში ჩაისახა, მუდამ ახდენდა მასზე ზემოქმედებას. თავდაპირველად, როცა ეს ზემოქმედება არ იყო საკმარისად ძლიერი, იგი არ იწვევდა ეკოლოგიურ კრიზისებს. ამავე დროს ცნობილია, რომ ეკოლოგიური წონასწორობის ისეთმა "დამცველმა", როგორც მწვანე მცენარე გახლავთ, სიცოცხლის განვითარების ფანეროზოის ხანის დასაწყისში (დაახლოებით 600 მლნ წლის წინ), ფოტოსინთეზური ფუნქციის გაძლიერების შედეგად გამოყოფილი ჟანგბადის ატმოსფეროში დაგროვების გამო, მოახდინა მისი პირველი სერიოზული "გაჭუჭყიანება". ამის შედეგად ძლიერ შემცირდა იმ დროისათვის გაბატონებული ანაერობული (უჟანგბადო) ორგანიზმების რაოდენობა. ატმოსფეროში ჟანგბადის დაგროვებას მოჰყვა ოზონის ფარის შექმნა, რომელმაც თავის მხრივ ცოცხალი ორგანიზმების ხმელეთზე ფართო განსახლება და გენოფონდის საოცარი მრავალფეროვნების წარმოშობა განაპირობა. ოზონის ეკრანი რომ არა, სიცოცხლეს დედამიწაზე საფრთხე შეექმნებოდა. ზემოთ თქმული კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რაოდენ სახიფათოა, ბუნებაში ათასეული წლების მანძილზე შექმნილი ჰარმონიის შენარჩუნების თვალსაზრისით, თუნდაც ერთი რომელიმე ფაქტორის კონცენტრაციის შეცვლა.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ეკოლოგიური მდგომარეობის დამაბულობით გამოირჩევა და ეს ეკოლოგიური კრიზისი ბიოსფეროს საშიში დაბინძურებით ხასიათდება. ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად გამოწვეულ გარემოს დაბინძურებას ანთროპოგენულ დაბინძურებას ანუ ანთროპოგენულ ტოქსიკაციას უწოდებენ.



დებენ. გარემოს დამაბინძურებლები მათი წარმოშობის მიხედვით იყოფიან ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და ინფორმაციულ დამაბინძურებლებად.

ჩვენი პლანეტის ანთროპოგენული ტოქსიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ნელ-ნელა განვითარებად კატასტროფას. ტოქსიკაცია ხდება მრავალი ორგანული და არაორგანული ნაერთებით. ამ ნივთიერებათა უმრავლესობა ადამიანის მიზნობრივი მოქმედების პროდუქტია და ფასეული ტექნიკური თვისებები გააჩნიათ, ხოლო ნაწილი ამ ნივთიერებებისა ენერჯის, ნედლეულის და საკვების წარმოების თანმხლები პროცესების დროს წარმოიქმნებიან (ტექნოლოგიური პროცესების ნარჩენები). აღნიშნული ნაერთები ხვდებიან გარემოში (წყალში, ჰაერსა და საკვებში) და მავნედ მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე. ეკოლოგიურ ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ობიექტებში მოხვედრილი ქიმიური ნივთიერებების შემდგომ ბედს - მათ განაწილებას სისტემაში წყალი-ჰაერი-ნიადაგი, შესაძლო ქიმიურ გარდაქმნებს და საკვებ პროდუქტებში მოხვედრის შესაძლებლობას.

გარემოში მოხვედრილ ანთროპოგენული წარმოშობის ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ სერიოზულ ცვლილებებს ეკოსისტემათა სტრუქტურაში და ცოცხალ ორგანიზმში გროვდებიან საშიშ კონცენტრაციებამდე ეკოტოქსიკანტები ეწოდებათ, ხოლო იმ ნივთიერებებს, რომელთაც მცირე კონცენტრაციების (დოზების) დროსაც კი ახასიათებთ ძლიერი ტოქსიკური ეფექტი სუპერეკოტოქსიკანტები ეწოდებათ.

ეკოტოქსიკანტების მოქმედების შედეგია ადამიანების მწვავე მოწამვლები გამოვლენილი სიკვდილიანობითა და წლების განმავლობაში მიმდინარე დაავადებებით. ზოგჯერ ეს შედეგები ვლინდება შემდგომ თაობებშიც. მრავალი სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ კაცობრიობის გენოფონდის გაუარესებას - იზადებიან ფიზიკურად, ფსიქურად და გონებრივად არაჯანსაღი ბავშვები.

გარემოზე ადამიანის სამეურნეო ზემოქმედება გლობალურ მასშტაბებს იღებს. მსოფლიოში გავრცელებულმა პოლიტიკამ ნებისმიერი საშუალებებით მიეღწიათ მოსავლიანობის მაქსიმალური ზრდისათვის, გამოიწვია სოფლის მეურნეობის მასობრივი ქიმიზაცია. გამოიყენება მინერალური სასუქები, პესტიციდები, ზრდის რეგულატორები, ჰორმონები და სხვა. ბუნებისადმი მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ გარემო დააბინძურა, ეროზირებულია ნიადაგი, დაცემულია მათი პროდუქტიულობა, შერყეულია ადამიანის ჯანმრთელობა და თუ ასე გაგრძელდა კაცობრიობა სერიოზული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებაა მრავალდარგობრივი აგროეკოლოგიური ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება. XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს უსასუქო და უქიმიკატო მიწათმოქმედების აუცილებლობის შესახებ, სასუქებისა და პესტიციდების არაგონივრული გამოყენება აბინძურებს პროდუქტებს, აქვეითებს ხარისხს, ტოქსიკურობის გამო გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, არღვევს ნახშირწყლოვან და ცილოვან ცვლას, მოქმედებს სისხლის წითელ ბურთულაკებზე



და ხელს უშლის ჟანგბადის შეთვისებას, ეცემა ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობა. ნიტრატები ნაწლავში ფერმენტების მოქმედებით ნიტროზარინებად – კანცეროგენურ ე.ი. ავთვისებიან სიმსივნეთა გამომწვევ ნივთიერებებად გარდაიქმნება. ადამიანი ცხოველებთან შედარებით 2–2,5-ჯერ უფრო მგრძობიარეა ნიტრატებისადმი. 1976 წელს აიკრძალა საბაღე კულტურათა სასუქად ამონიუმის ნიტრატის გამოყენება, მაგრამ მას მაინც ხმარობენ. ასეთი სასუქებით მოყვანილ ბოსტნეულში აღმოჩენილია ნიტრატების მაღალი ნარჩენები– 4500 მგ/კგ–მდე, მაშინ როცა მოზრდილებისათვის უსაფრთხო დოზა სხეულის 1 კგ–ზე 4 მგ–ს შეადგენს, ბავშვებისათვის დასაშვები დოზა უფრო მცირეა.

ნიადაგსა და პროდუქტში შხამქიმიკატების დაგროვება საფრთხეს უქმნის ბიოფონდს. ცნობილმა ამერიკელმა გენეტიკოსმა პროფ. კარტერმა საქართველოში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ასეთი ტემპები XXI საუკუნეში საქართველოს გენოფონდს განადგურების საფრთხე ემუქრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსავალი არის სოფლის მეურნეობის ბიოლოგიზაცია. მინერალური სასუქების, შხამ–ქიმიკატების გარეშე მოსავლის მიღება რეალობას წარმოადგენს. დღემდე საქართველოში შემოდის საექვო რეპუტაციის საკვები პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ტოქსიკურ დანამატებს, კონსერვატებს, ემულგატორებს, საღებავებსა და სხვა ნივთიერებებს.

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და პროდუქტების წარმოების ძირითადი მიზანი შემდეგში მდგომარეობს: აწარმოოს საკმარისი რაოდენობის ყუათიანი პროდუქტი; ურთიერთკავშირში იყოს ბუნებრივ სისტემებთან და ციკლებთან; ხელი შეუწყოს და განავრცოს სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიური ციკლების მოხმარება; მიკროორგანიზმების, ნიადაგის ფლორისა და ფაუნის, მცენარეებისა და ცხოველების გამოყენების გზით, ხანგრძლივად შეინარჩუნოს და გაზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება; შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენოს ისეთი ნივთიერებები და მასალები, რომელთა გამოყენება ან რეციკლურობა შესაძლებელია ფერმაშივე ან სხვაგან; შეუქმნას ცხოველებს ყველა ის პირობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას; შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის სისტემისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნება, დაიცვას მცენარეები და გარეული ცხოველები; ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ საშუალება უნდა ჰქონდეს იცხოვროს ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია გაეროს ადამიანთა უფლებების დეკლარაციით, მინიმუმამდე დაიყვანოს ყველა სახეობის დანაგვიანება, რომელიც თან ახლავს სასოფლო–სამეურნეო საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაია ე., სეფერთელაძე ზ. – ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები – გამომც. "მერიდიანი"; თბილისი; 2014 წ; 321 გვ.
2. <http://www.activestudy.info/antropogennye-factory-i-ix-vliyanie-na-prirodnuyu-sredu/>
3. <https://www.agroxxi.ru/zhurnal-agromir-xxi/stati-rastenievodstvo/yekologicheskie-problemy-selskoho-zhajtvennogo-ispolzovaniya-zemli.html>



ANTHROPOGENIC TOXIC PROCESS AND ECOLOGICAL PROBLEMS

Marina Kutsia

Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

The article deals with the reasons anthropogenic toxic process of planet (earth) and negative ecological processes that appear and develop in the biosphere. Our attention is paid to the existing toxic substances in the environment, that cause serious changes in the structure of ecosystem and is gathered in the form of living organism before forming a mass. The data is given about unwise usage of Fertilizer and pesticides, which pollute agricultural products and eventually cause environmental pollution. It affects the human health due to its toxic quality. The harmful effects are revealed in the forms of various diseases. Several question are also discussed in the article, such as: the importance of agricultural ecological product which is necessary for people. The importance of agricultural production. The reasons why we should minimize any kind of pollution, while producing agricultural production.

АНТРОПОГЕННАЯ ТОКСИКАЦИЯ И ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ

Кущия Марина

Акад. доктор с/х наук, ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

В статье рассмотрены наиболее значимые антропогенные факторы вызывающие токсикацию планеты и их влияние на отрицательные экологические процессы в биосфере. Производственная деятельность человечества привела к загрязнению окружающей среды различными неорганическими и органическими веществами. Многие из них при постоянном воздействии вызывают серьезные нарушения деятельности основных жизненных систем организмов. Особое внимание уделено проблемам окружающей среды, возникающих в связи с применением в сельском хозяйстве удобрений пестицидов. Опасность заражения пестицидами через продукты питания и питьевую воду существует для всего населения земли. Даже строго дозированное использование пестицидов негативно влияет на здоровье человека.

В результате экологизация сельского хозяйства дает огромный социальный эффект. Это проявляется прежде всего в улучшении здоровья населения в результате увеличения потребления биологически чистой сельскохозяйственной продукции, уменьшения загрязнения окружающей среды, водных и земельных ресурсов.



მცენარეები ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით

ქეთევან ქუთელია

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

თქვენი საცხოვრებელი გარემოსათვის ყვავილები გააზრებულად უნდა შეარჩიოთ, მით უფრო, თუ მცენარეები თავისი თვისებებით, უნივერსალურები არიან - მათში ნათლად ვლინდება ესა თუ ის ნიუანსი, მაგრამ ძირეულად მაინც მრავალფუნქციონალურები არიან. შეგიძლიათ ყვავილები ოჯახის წევრების ზოდიაქოს ნიშნის მიხედვითაც შეარჩიოთ.

მცენარეები ადამიანების მსგავსად, ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანსა და პლანეტის გავლენას ექვემდებარებიან და, თუ სახლში თქვენი ზოდიაქოს შესაფერისი მცენარე ხარობს, ის თქვენში დადებით ენერჯიას გააძლიერებს და დაგეხმარებათ, ადვილად დაგძლევეთ ძნელი პერიოდები თქვენს ცხოვრებაში.


სხვადასხვა მცენარეს, სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანზე განსხვავებული ენერგეტიკული გავლენა აქვს. თუ თქვენი ზოდიაქოს შესაბამის, საჭირო მცენარეს იქონიებთ სახლში, ის წარმატებების მოპოვებაში, პრობლემების ადვილად გადაჭრაში დაგეხმარებათ და, ასევე, ენერგეტიკულადაც და დებიტად იმოქმედებს თქვენზე. რომელი ქოთნის მცენარე შეგვეფერება ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით და რაში გვეხმარება ის:



ვერძისთვის კარგია კაქტუსი. ეს მცენარე გამოყოფს თქვენთვის სასიკეთო ენერგეტიკას და შთანთქმავს თქვენ გარშემო არსებულ ნეგატიურ ენერჯიებს.



კუროსთვის კარგია ფართოფოთლიანი მცენარეები, მაგალითად, პალმა ან ფიკუსი. ისინი დაგეხმარებათ სწორად აზროვნებაში დადადებითი შედეგების მომტანი ნაბიჯების გადადგმაში.



ტყუპებისთვის წარმატების მომტანია ისეთი მცენარეები, რომლებიც პატარა ყვავილებს ისხამს. ასეთია ია, და დეკემბერა. ეს მცენარეები დაგეხმარებათ ნაცნობებთან და თანამშრომლებთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაში, ზომიერების დაცვაში, ემოციების მოთოკვაში. ასევე, ეს მცენარეები გააძლიერებს თქვენ-



ში საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.



კირჩხიბებისთვის სასიკეთოა წყალმცენარეები, რომლებსაც აკვარიუმში გაახარებთ. ეს თქვენზე დადებით გავლენას მოახდენს ენერგეტიკული თვალსაზრისით, ასევე, შეგიქმნით სიმშვიდისა და კომფორტის შეგრძნებას სახლში, გააძლიერებს თქვენს იმუნიტეტს, გაგივითარებთ რწმენას და სულიერ სიმშვიდეს მოგვცრით.



ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის წარმატებების მომტანია დეკორატიული, ჯუჯაპალმა. ის დაგეხმარებათ საოჯახო და კარიერული პრობლემების ადვილად დაძლევაში, განავითარებს თქვენში დამოუკიდებლობის გრძნობას, შეგმატებთ მეტ რწმენასა და თავდაჯერებულობას; ასევე, მოგიხსნით სტრესსა და

დამაბულობას.




ქალწულებისთვის კარგია ქოთნის პატარა მწვანე ყვავილები; ასევე, გახარებული ხორბალი. ეს მცენარეები ბარაქის მოზიდვაში დაგეხმარებათ. შეგიწყობთ ხელს აზროვნების განვითარებასა და უცხო ადამიანებთან შეგუებაში.



სასწორებისთვის კარგია ბინაში ისეთი ქოთნის მცენარეები, რომლებსაც დიდი ყვავილები აქვს. მაგალითად, კარგია ჩინური ვარდი. ის დაგეხმარებათ პირადი ცხოვრების მოწყობაში, სასიყვარულო პარტნიორის პოვნაში და გაგათავისუფლებთ უსარგებლო ეჭვებისა და ემოციებისგან. ასევე, ხელს შეგიწყობთ ადვილად მოახდინოთ დადებითი გავლენა სხვებზე.



მორიელებისთვის კარგია ისეთი ქოთნის ყვავილები, რომლებიც სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევიან, მაგალითად: ალოე, კალანჭოე, ბალბა. ისინი თქვენს ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას მოახდენენ, ენერგიულად გაგაძლიერებენ, დაგეხმარებიან რთულ სიტუაციაში საღად აზროვნებაში; და გიცავენ შეცდომების დაშვებისგან, მოიზიდავენ ფინანსებს და კარიერულ წინსვლაში შეგეშველებიან.



მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახლში ქოთნის ბზა.ის დაგეხმარებათ გარემომყოფების კეთილგანწყობის მოპოვებაში, დადებითად იმოქმედებს თქვენს შემოსავლებზე და სასურველი მიზნის მიღწევაში შეგიწყობთ



ხელს.



თხის რქებისთვის კარგია ისეთი მწვანე მცენარეები, რომლებიც არ ყვავილობენ, უბრალოდ, დეკორატიული დანიშნულება აქვთ. მაგალითად, ასეთია გვიძრა. ის მოგიტანთ სიხარულს, სიმშვიდეს, დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში და საოჯახო ურთიერთობებს

მოგიწესრიგებთ.



მერწყულებისთვის წარმატების მომტანია კაქტუსი. სხვადასხვა ჯიშის კაქტუსი უნდა დადგათ სახლში. მათი ენერგეტიკა თქვენზე დადებითად აისახება, სასიყვარულო რომანტიკულ ურთიერთობებს მოაწესრიგებს და ხელს შეგიწყობთ მშვიდ ცხოვრებაში.

ასევე, კარგია ჭრელფოთლიანი მცენარეები და გეორგინა, რომლებიც ოჯახში სიმყუდროვის შეგრძნებას მოგანიჭებთ.



თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის აუცილებელია სახლში წყლის მცენარეების გახარება. ლოტოსი მისტიკურ და მაგიურ მცენარედ მოიაზრება და ის თქვენ ავი თვალისგან დაგიცავთ. ასევე, კარგია ბზა, რომელიც შეცდომებისგან დაგიცავთ და სულიერ სიმტკიცეს განავითარებს თქვენში.

ში.

სხვათაშორის, იმ ოჯახებში, სადაც ქოთნის ბევრი ყვავილი ხარობს, ადამიანები ძლიერი იმუნიტეტითა და ჯანმრთელობით გამოირჩევიან. გარდა იმისა, რომ ეს მცენარეები ბინასაც ამშვენებენ, სახლის ატმოსფეროსაც ასუფთავებენ, უარყოფით ენერგიას შთანთქავენ და შემდეგ დადებითად გარდაქმნიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ე. მეყვავილეობა. ქუთაისი 2009 წ. გვ. 25-150.

PLANTS ACCORDING TO THE ZODIACAL SIGNS

Ketevan Kutelia

Academic doctor of agriculture, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

Flowers are known to make a positive influence on human's physical, psychological and energetic state. Many people can't appreciate the importance of flowers properly, as they perceive them as the decoration of a garden, house or room and they can't even imagine that these beautiful plants can create the whole world of harmony around them, they can protect humans from disappointments and clear their dwellings.

You should choose flowers for your living environment sensibly, especially for the fact that plants are universal with their features – any nuance is clearly revealed in them, but fundamentally they are multifunctional. You can even choose flowers according to your family members' zodiacal signs. Plants like humans are under the influence of various zodiacal



signs and planets and if there is a plant growing in your house, which is suitable for your zodiac, it will increase positive energy in you and will help you to get over difficult times of your life.

РАСТЕНИЯ ПО ЗНАКАМ ЗОДИАКА

Кутелиа Кетеван

Академический доктор сельского хозяйства, Ассистент Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Как известно, цветы оказывают положительное воздействие на физическое, психологическое, энергетическое состояние человека. Многие должное значение не придают цветам, воспринимая их как украшение сада, дома или комнаты, не подразумевая, что эти красивые растения способны создать вокруг них целый мир гармонии, уберечь от неприятностей и очистить их место обитания. Цветы для окружающей вас среды следует подбирать осмысленно, тем более, что растения по своим свойствам универсальны - в них явственно проявляются те или иные нюансы, но коренным образом они многофункциональны. Вы можете подобрать цветы и по знакам Зодиака членов семьи. Растения, подобно людям, подвержены воздействию различных знаков Зодиака и планет. Если в вашем доме цветёт растение, подходящее вашему Зодиаку, оно усилит в вас положительную энергию и поможет легко преодолеть сложные периоды в вашей жизни.



2 ბიზნესის ადმინისტრირება BUSINES ADMINISTRATION АДМИНИТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА





**სასოფლო–სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა
 იმერეთის რეგიონში**

ზეინაზ ახალაძე

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მანანა შალამბერიძე

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნაშრომი ეძღვნება იმერეთის სასოფლო–სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას. სოფლის მეურნეობა იმერეთის მხარის ერთ–ერთი მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რომელიც საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ დარგად ჩამოყალიბდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, იმერეთის რეგიონშიც მეტად მტკივნეულად განხორციელდა.

ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენეს, რომ იმერეთში სასოფლო–სამეურნეო წარმოების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და ამოქმედებული დარგში არსებული რეზერვები; არ არის დამუშავებული და რეალიზებული ანტიკრიზისული ღონისძიებები და ა.შ. ყოველივე ამის და კიდევ სხვა ღონისძიებების ჩატარება კი უზრუნველყოფს დარგის სტაბილურ განვითარებას.

სოფლის მეურნეობა იმერეთის მხარის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ დარგად ჩამოყალიბდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მტკივნეულად განხორციელდა.

დანარჩენი საქართველოს მსგავსად იმერეთში სოფლის მეურნეობა ორი მსხვილი მიმართულების ბიზნესად შეიძლება დაიყოს. ერთის მხრივ, არსებობენ სოფლის მეურნეობის მსხვილი კომერციული მწარმოებლები საკმაოდ დიდი ინვესტიციებითა და გარკვეული კომპეტენციით, რომლებიც მთლიანად ორიენტირებული არიან წარმოებული პროდუქციის ბაზრისთვის მიყიდვაზე. მეორეს მხრივ, არსებობენ შედარებით მცირე ფერმერები, რომელთაც, როგორც წესი, ძალიან მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, ნაკლები კომპეტენცია და ცოტა რესურსი აქვთ ინვესტიციების განხორციელებისთვის.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების მოცულობას და შესაბამისად



მის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა და მათი სტრუქტურა განსაზღვრავს, რომელშიც იგულისხმება სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობების მაღალი ხვედრითი წილი. ამ მიმართებით, როგორც მთლიანად ქვეყნის მაშტაბით, იმერეთშიც არასასურველი მდგომარეობაა. მაგრამ სახნავი მიწების მოცულობა თავისთავად არ წარმოადგენს პროდუქციის წარმოების პირობას თუ ისინი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებად არ იქნა ათვისებული. ამდენად, მნიშვნელოვანია ნათესი ფართობების დინამიკაში შესწავლა.

როგორც ცხრილის (#1) მონაცემებიდან ჩანს, იმერეთის მთლიანი ნათესი ფართობის მოცულობა ცვალებადობას განიცდის, კერძოდ 2012 წელს, წინა წელთან შედარებით მისი სიდიდე გარკვეულად მცირდება, თუმცა 2013 წლიდან იგი განიცდის მატებას და საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს აღწევს, ფაქტიურად ყველაზე მაღალს მთელს ქვეყანაში. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება იმერეთის მთლიანი ნათესი ფართობის პროცენტული თანაფარდობაც.

ნათესი ფართობების დინამიკა ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათ. ჰექტარი)

ცხრილი #1

	2011	2012	2013	2014	2015
იმერეთი	42.9	38.9	46.7	53.5	51.3
საქართველო	262.4	259.6	310.7	316.6	308.4
იმერეთის წილი (%)	16.34	14.98	15.03	16.89	16.63

საკმაოდ ცვალებადია მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების ტენდენციების სურათიც, რიგ წლებში საკმაოდ მკვეთრიც. შემცირების ტენდენცია ახასიათებს მაგალითად სიმინდისა და ლობიოს წარმოებას. ეს ტენდენცია მოულოდნელიც კი არის, თუ გავითვალისწინებთ ამ კულტურების განსაკუთრებულ როლს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. გამონაკლისს წარმოადგენს 2013 წელი, როდესაც მოსავალი შეიძლება ითქვას, რომ რეკორდულიც კი იყო. დინამიურობით გამოირჩევა ბაღჩეულის წარმოება.

რაც შეეხება ხილის წარმოებას ზოგადად და აგრეთვე კონკრეტულად ყურძენს, იგი მატულობს 2013–2014 წლებში, მაგრამ შემდგომ წლებში გარკვეულად კვლავ მცირდება. ამ პროდუქტის წარმოებაზე დიდ გავლენას ახდენს ბაზრის მოთხოვნის ადეკვატური ხასიათი და სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკა



ყურძნის მოსავლის მიმართ. ყოველწლიურად, რთველის დაწყების შემდეგ იწყებენ ფაციფუცს სახელმწიფო სტრუქტურები მოსავლის ბედზე და ფერმერებს კი მოკრეფილი პროდუქტი ულპება.

**მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების
დინამიკა (ათ. ტონა)**

ცხრილი #2

		2011	2012	2013	2014	2015
სიმინდი	იმერეთი	67.3	65.5	99.6	63.7	43.3
	საქართველო	269.6	267.0	363.9	347.2	231.4
	იმერეთის წილი (%)	24.96	24.53	27.37	18.34	18.71
ლობიო	იმერეთი	1.4	1.2	2.4	1.0	0.6
	საქართველო	8.9	9.6	10.5	8.7	5.8
	იმერეთის წილი (%)	15.73	12.5	22.85	11.49	10.34
ბაღჩეული	იმერეთი	10.4	10.6	13.3	14.4	10.7
	საქართველო	42.8	36.7	66.4	85.9	72.6
	იმერეთის წილი (%)	24.29	28.88	20.03	16.76	14.73
ყურძენი	იმერეთი	26.3	36.2	36.6	12.3	30.2
	საქართველო	159.6	144.0	222.8	224.9	267.8
	იმერეთის წილი (%)	16.47	25.1	16.42	5.46	11.27
თხილი	იმერეთი	4.8	3.4	5.6	3.9	4.8
	საქართველო	31.1	24.7	39.7	37.4	36.4
	იმერეთის წილი (%)	15.43	13.76	14.10	10.42	13.18
ხილი	იმერეთი	18.5	21.8	23.9	15.1	19.2
	საქართველო	187.3	157.9	217.6	229.0	146.6
	იმერეთის წილი (%)	9.87	13.80	10.98	6.59	13.09

მეხილეობისა და ხილის წარმოების დაცემის ძირითადი მიზეზი გადამამუშავებელი მრეწველობის, ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო საწარმოების განუვითარებლობაა. სასურსათო ბაზარზე იმერეთის ხილი ქართლისა და კახეთის ხილს ვერ უწევს კონკურენციას. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ეკოლოგიურად სისუფთავისა და დამახასიათებელი გემოვნური თვისებებისა, იმერეთის ხილი საგარეო ბაზრისკენაც არასდროს იყო ორიენტირებული.

იმერეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი არის მეცხოველეობა, რომელიც ბევრად მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მემცენარეობა. სამართლიანობისათ-



ვის უნდა ითქვას, რომ მათ შორის ზღვარი ყოველთვის მაღალი იყო.
 პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, ფუტკრის
 ოჯახების რაოდენობა (ათასი სული)

ცხრილი #3

		2011	2012	2013	2014	2015
მსხვილი რქოსანი პირუტყვი მ.შ. ფური და ფურკამეჩი	იმერეთი	197.9	194.3	208.6	211.6	218.5
	საქართველო	1087.6	1128.8	1229.7	1278.0	1325.5
	იმერეთის წილი (%)	18.19	17.21	16.96	16.55	16.48
ღორი	იმერეთი	20.0	38.8	31.4	31.6	32.2
	საქართველო	105.1	204.3	191.2	204.8	197.7
	იმერეთის წილი (%)	19.02	18.99	16.42	15.42	16.28
თხა	იმერეთი	6.4	6.9	8.0	7.6	7.5
	საქართველო	53.6	54.4	60.8	53.7	49.8
	იმერეთის წილი (%)	11.94	12.68	13.15	14.15	15.06
ფრინველი	იმერეთი	1056.8	1039.5	1214.5	1244.9	1059.1
	საქართველო	6360.2	6159.1	6760.7	7272.6	8805.9
	იმერეთის წილი (%)	16.61	16.85	17.96	17.11	12.02
ფუტკრის ოჯახი	იმერეთი	26.4	15.2	13.9	15.2	16.7
	საქართველო	328.0	347.5	398.6	403.4	421.5
	იმერეთის წილი (%)	8.04	4.37	3.48	3.76	3.96

გასული საუკუნის მოვლენებმა მეცხოველეობის დარგს საქართველოში უდიდესი ზიანი მოუტანა. დაიშალა და განადგურდა მსხვილი, მექანიზირებული სამრეწველო კომპლექსები, სახელმწიფო მეურნეობების ფერმები. მსხვილფეხა პირუტყვის, ღორისა და ცხვრის გარკვეული სულადობა კოლექტივის წევრებს გაუნაწილდა, დანარჩენი პირუტყვი და ფრინველი ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საკუთარი სურვილისა და ინტერესების მიხედვით გამოიყენა. მთლიანად მოიშალა ჯიშთ-სანაშენო და სასელექციო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესები ასე განვითარდა, უნდა ითქვას, რომ იმერეთში მეცხოველეობის სულადობა ყველა სახეში პირიქით იზრდებოდა.

მეცხოველეობის ყველა დარგის სწრაფი ტემპებით ზრდა იმერეთში ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოდან დაიწყო და რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ, რბილი კლიმატით, ბუნებრივი რესურსებით, საოჯახო პირობებში მათი განვითარების ტრადიციებით და ა.შ. მართალია იმერეთი სათიბების ნაკლებ



ბოზას განიცდის, მაგრამ საძოვრების მთელი წლის განმავლობაში გამოყენების შესაძლებლობა ამას გარკვეულ წილად აბალანსებს. ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ბაზრის მოთხოვნამ მეცხოველეობის პროდუქტებზე და მათზე მაღალმა ფასებმა, რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების კატასტროფული შემცირების ფონზე. ფაქტიურად, მეცხოველეობა აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყარო, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების მინიმალურად გადაჭრის ერთადერთი საშუალება.

მეტად დადებითი მომენტია მეფუტკრეობის აღორძინებისა და განვითარების ტენდენცია, რადგანაც იმერეთს საამისო რესურსებიც აქვს. იგი ტრადიციული დარგითაა და მაღალეფექტურობითაც გამოირჩევა.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა (ათასი ტონა)

ცხრილი #4

		2011	2012	2013	2014	2015
ხორცი (დაკლული წონა)	იმერეთი	9.3	8.1	8.6	10.1	10.1
	საქართველო	49.3	42.6	48.4	54.8	62.1
	იმერეთის წილი (%)	18.86	19.01	17.76	18.43	16.24
რძე (მლნ. ლიტრი)	იმერეთი	108.3	111.5	129.7	119.8	133.3
	საქართველო	582.1	589.5	604.7	656.2	676.5
	იმერეთის წილი (%)	18.60	18.91	21.44	18.25	19.70
კვერცხი (მლნ. ცალი)	იმერეთი	36.7	44.3	47.3	59.4	56.2
	საქართველო	483.1	474.0	495.3	549.4	601.2
	იმერეთის წილი (%)	7.59	9.34	9.54	10.81	9.34
თაფლი	იმერეთი	0.3	0.2	0.1	0.1	0.1
	საქართველო	2.7	4.1	3.9	4.1	4.1
	იმერეთის წილი (%)	11.11	4.87	2.56	2.43	2.43

აქ რამდენიმე ძირითად მიზეზია განმსაზღვრელი : 1) იმერეთის სოფლის მოსახლეობის (არა მარტო მათი, მთლიანად მხარის) ძირითადი შემოსავლის წყარო და საარსებო პირობების მინიმალურად დაკმაყოფილების საშუალება არის სოფლის მეურნეობის პროდუქტები; 2) მხარის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ძირითადი მასა მეცხოველეობაში იწარმოება და ეს დარგი მემცენარეობასთან შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ მოვლენებზე.

ასეთია მიმდინარე ეტაპზე იმერეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური სურათი. სამწუხაროდ, იმერეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე არ



არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და ამოქმედებული დარგში არსებული რეზერვები; არ არის სრულყოფილი საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო სისტემა; საგანგაშო მდგომარეობაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მხრივ; არასაკმარისად არის განვითარებული საინვესტიციო გარემო; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები მოითხოვს სრულყოფას; კოოპერაციის მასშტაბები არ არის საკმარისი; არ არის დამუშავებული და რეალიზებული ეფექტური ანტიკრიზისული პროგრამები, რომლებიც კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, პრიორიტეტული დარგების სტიმულირებისა და წარმოების ხარჯების შემცირების კომპლექსურ ღონისძიებებზე იქნება გათვლილი და ა.შ. ყოველივე ამის და კიდევ სხვა ღონისძიებების ჩატარება კი უზრუნველყოფს დარგის სტაბილურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014–2021
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016
3. ინტერნეტრესურსები

AGRICULTURAL PRODUCTION IN THE CURRENT STATE IMERETI

Zeinab Akhaladze

Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Manana Shalamberidze

Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

The paper deals with the study of the present state of Imereti agricultural production. One important part of the process of formation of market relations in a free market-oriented branches formed. However, the planned economy to market economy transition, as well as in the whole country, Imereti region of painfully implemented.

The research showed that the Imereti agricultural production level is not satisfactory. It has not yet been fully identified and put into the field's reserves; Is not processed and implemented anti-crisis measures. All of this and other measures must be taken in the field of sustainable development.

**СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА
ИМЕРЕТИНСКОГО РЕГИОНА**

Ахаладзе Зейнаб

Академический доктор, Ассоциированный Профессор, Государственный Университет Акакия Церетели, г. Кутаиси, Грузия

Шаламберидзе Манана

Академический доктор, Ассоциированный Профессор, Государственный Университет Акакия Церетели, г. Кутаиси, Грузия

Резюме

Статья посвящена изучению современного состояния сельскохозяйственного производства



პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



Имеретинского региона. Сельское хозяйство является одним из наиболее важных отраслей экономики Имеретинского региона, которая в процессе формирования рыночных отношений образовалась, как отрасль ориентированная на свободный рынок. Тем не менее, следует отметить, что процесс перехода с плановой экономики на рыночную экономику происходил весьма болезненно как в целом по стране, так и в Имеретинском регионе.

Исследования показали, что уровень сельскохозяйственного производства Имерети не является удовлетворительным. Еще не полностью определены и введены в действие резервы отрасли; не обрабатываются и не реализуются антикризисные меры и т.д. Проведение всех этих и других мер обеспечат устойчивое развитие отрасли.



საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის უმრავლესობისთვის

დალი სილაგაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

საკვლევი თემა ეძღვნება საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონების ფერმერებს. შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები რეგიონებში, რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა, ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება. სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი. ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება-ანალიზი. სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა აღნიშნული ზრდა თანაბრად როდი შეეხო საქართველოს მთლიან მოსახლეობას. მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს სოფლად და მათთვის საარსებო წყაროს მცირე ფერმერული საქმიანობა წარმოადგენს. დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მძაფრად მოქმედებს ახალგაზრდებზე, რომლებიც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს მხოლოდ ემიგრაციაში ხედავენ. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. აღინიშნა, რომ მთავარ გამოწვევად რჩება სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული დაბალი პროდუქტიულობის გაზრდა, რასაც თავის მხრივ, მოჰყვება ქვეყნის თვითმყოფადობისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება.

აქედან გამომდინარე, შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები რეგიონებში, რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა-ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება. სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი. ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშა-



ვება-ანალიზი. სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით. სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება. სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება. სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება. მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური შეფასება (გამოყენებული წარმოების საშუალებებზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით) და დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციის გაცემა. ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. აღებული მოსავლის შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაწევა. საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წლის განმავლობაში აუცილებელი ვეტერინალური და სანიტარული ღონისძიებების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა. მერძეული და მეხორცეული მიმართულების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის ზრდის და სტაბილურად შენარჩუნების მიზნით საკვები რაციონის შესახებ რეკომენდაციების გაცემა. სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა. ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით. სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა. კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილი საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება. კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და კოორდინირებული საქმიანობა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

ამ დროისათვის რაიონულ დონეზე შექმნილია 59 რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. ისინი ფერმერებს საუკეთესო გამოცდილებების, ახალი ტექნოლოგიების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და შესაბამის ტრენინგებს სთავაზობენ.

უდავოა, რომ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების ადგილობრივ დონე-



ებზე ჩამოყალიბებამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მომავალშიც შეასრულებს ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნული დასტურდება, როგორც ობიექტური შედეგებით, ასევე უშუალოდ ბენეფიციარი ფერმერების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების და აგრარული სფეროს ექსპერტების მიერ. ტერიტორიული სამსახურები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხითაც.

ფერმერების მოსაზრებით, საკონსულტაციო სამსახურების უფლება–მოვალეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის კონსულტაციისა და ინფორმაციის მიღება. ფერმერები უმეტეს შემთხვევაში იღებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას და მეორეს მხრივ, სამსახურები ასევე კარგად ართმევენ თავს ისეთ ამოცანას, როგორცაა ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვა და ადგილობრივ ფერმერებს აწვდიან ინფორმაციას და არწმუნებენ ექსტენსიური მეთოდების გამოყენების შესახებ.

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ საკონსულტაციო–საინფორმაციო სამსახურთან აქვს ხშირი შეხება, გადიან კონსულტაციებს სხვადასხვა კულტურებთან დაკავშირებით, ასევე თესლთან დაკავშირებით–თუ რომელი სჯობს, რომელია უკეთესი. თვითონ სამსახური კი სთავაზობთ სხვადასხვა ჯიშებს, თუმცა დისკუსიაც ხშირად ყოფილა. ასევე მოუძებნიათ ესა თუ ის ტექნიკა. სასათბურე მეურნეობებს კი შესთავაზეს შესაწამლი, ეფექტური წამალი.

მაგრამ პრობლემა ჩნდება როცა უნდა იმოქმედონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, როცა იწყება დოკუმენტების მომზადება და ბიუროკრატიული პროცესების გავლა, აქ კიდევ ფერმერებს არ ყოფნით ცოდნა და კვალიფიკაცია თუ როგორ უნდა მოამზადონ ესა თუ ის დოკუმენტი და ჩაერთონ პროცესში. ამ დროს სწორედ საკონსულტაციო სამსახურებია ის რგოლი, რომელიც მათ ძლევთ საშუალებას ერთის მხრივ მიიღონ ინფორმაცია არსებული ინციატივის შესახებ, მეორე მხრივ კი პრაქტიკულად დააკვალიანოს თუ როგორ უნდა იმოქმედონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებებია, რაშიც ფერმერებს კონსულტაციები ჭირდებათ: მესაქონლეობა, მეცხოველეობა, ს/მ სამინისტროს პროგრამები, მეფუტკრეობა, მევენახეობა, კოოპერატივი, ნიადაგის ანალიზი, თხილის მოყვანა, მემცენარეობა, მექანიზაცია, მავნებლებთან ბრძოლა/შხამ–ქიმიკატები. საგულისხმოა, რომ ბენეფიციარი ფერმერები, მიუთითებენ, რომ ძალიან კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით. ისინი სამსახურიდან იღებენ კონსულტაციებს, ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა სპეციალისტების ჩამოყვანა და შესაბამისი რჩევების მიღება.

ამდენად, სამსახურების ფუნქციებიდან გამოყოფილია ორი ძირითადი მიმართულება: 1. სასოფლო–სამეურნეო კულტურების განაშენიანება მოვლისთანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა; 2. ცხოველთა მოვლა–მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი



დანერგვის მიზნით;

მიმდინარე ეტაპზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ამოცანები ნაწილობრივად შესრულებული და საჭიროებს კიდევ დამატებითი ძალისხმევის გაწევას სხვადასხვა მხარეების მხრიდან. დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამსახურის წარმომადგენლებს აქვთ შეზღუდული რესურსები სიახლეების დანერგვის ხელშეწყობისათვის. შესაბამისად, აუცილებელია კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით. რაც შეეხება ფერმერებს, მათი ნაწილი მზადაა დანერგოს თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, ნაწილი კი უკვე პროცესშია და ასეთები ხაზგასმით მიუთითებენ სამსახურების განსაკუთრებულ როლზე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უშუალოდ სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მოხდა კონკრეტული ახალი მიმართულებების ათვისება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურების მიერ თავმოყრილი ინფორმაცია ნამდვილად მნიშვნელოვანია, როგორც საჯარო სექტორისათვის, ასევე საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას ექსტენციის დანერგვა წარმოადგენს. ამ კუთხით კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

და ბოლოს, დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ: საჭირო და აუცილებელია ადგილობრივ სამსახურებში საშტატო ერთეულების გაზრდა, ვიწრო სპეციალიზაციის კონსულტანტების პერიოდული მივლინება სამსახურებში. ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების მინიმალური ტექნიკით აღჭურვა. ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ინტენსიობის გაზრდა და მეტი ფოკუსირება ადგილობრივ პრიორიტეტულ დარგებზე. სადემონსტრაციო ნაკვეთების, სასწავლო ფერმების შექმნის ხელშეწყობა და ფერმერთა ვიზიტების ინტენსივობის გაზრდა. კოორდინაციის დონის გაზრდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებს შორის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სამსახურების მეტი ჩართულობა. ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის გადახედვა და გარკვეული სისტემების ჩამოყალიბება. ბიზნეს კონსულტაციების კომპონენტის და მარკეტინგული ფუნქციების ეტაპობრივად დამატება და გაძლიერება. მედია საშუალებების აქტიურად გამოყენება, მათ შორის ადგილობრივი მედიის. საინფორმაციო აგრარული ვებ-პორტალის მომზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. People in Need-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.2015. Pin საქართველო. გვ.6
2. ENPARD-ძლიერი სოფელი უკეთესი ცხოვრებისათვის-საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესება.WWW.ENPARD.GE 2016. გვ.11
3. ENPAR – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში 2016.



INFORMATION AND CONSULTING SERVICES TO SUPPORT FARMERS IN THE REGION

Dali Silagadze

Doctor of Business Administration, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

The topic is devoted to the information and consulting services for supporting farmers in the region. There have been made information and consulting services in the regions, which aims at gathering information and analysis, to create renewable and complete informational base, the determine estimated crop preliminary, to receive and process operational information. To take active part in the target projects implemented by the ministry, to give advice and monitoring. To collect, process and analyse information on prices of agricultural products as well as value of means of production in the local market. To study potentiality of the warehouse and processing plants according to primary productions of plant-growing and cattle breeding.

Timely informing of the ministry on problems in agricultural field and current situation.

The purpose of our research was to study work, positive and negative sides, of consulting and information services at a regional level, and to make proper conclusions.

ПОДДЕРЖКА ИНФОРМАЦИОННО-КОНСУЛЬТАТИВНЫХ СЛУЖБ ФЕРМЕРАМ РЕГИОНА

Силагадзе Дали

Доктор управления бизнесом, Ассоциированный профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Исследуемая тема посвящена поддержке информационно-консультативных служб фермерам регионов. Созданы информационно- консультативные службы в регионах, основная цель которых - сбор и анализ информации, создание совершенно обновленной информационной базы, предварительное определение предполагаемого урожая, получение и обработка оперативной информации, активное участие в подборе осуществленных Министерством целевых проектов, предоставление консультаций и мониторинг. Сбор, обработка и анализ информации о ценах на продукцию сельского хозяйства на местном рынке, а также о стоимости средств производства. Изучение имеющегося потенциала складских и перерабатывающих предприятий по продуктам первичного производства растениеводства и животноводства. Своевременное информирование Министерства о проблемах и создавшемся положении в сфере сельского хозяйства.



პერიოდული საბუნებისმეტყველო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



3 ინჟინერია ENGINEERING ИНЖИНИРИЯ





**დიზელის საწვავზე მომუშავე მოტობლოკებში ვიბრაციის
 ბამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების
 შემთხვევაში**

მერაბ მამულაძე

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

სოსო თავბერიძე

აგროინჟინერიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

დღეისათვის საქართველოში, სადაც მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის პირობებში აგროსაქონელმწარმოებელთა სავარგულების უმეტესი ნაწილი მცირე კონტურიანია, გაიზარდა მოთხოვნა მცირე სიმძლავრის ტექნიკურ საშუალებებზე, კერძოდ მოტობლოკებზე. მოტობლოკები კი განსხვავებული დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ ოპერატორის მეშვეობით, რომელიც განიცდის სხვადასხვა სიდიდის ვიბრაციას, დარტყმას, ხმაურს და საერთოდ, დიდი ხნით მუშაობა მათში იწვევს სხეულის დაზიანებას, დინამიკურ დატვირთვას და სასუნთქი ორგანოების დაავადებას. სტატიაში გამოკვლეულია შიგაწვის ძრავაში სხვადასხვა ბრუნთა რიცხვის შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის დიზელის საწვავის ვიბრაციაზე დამოკიდებულება. გამოკვლევებმა აჩვენა რომ, საწვავი და ძრავას ბრუნთა რიცხვი წარმოადგენს ერთადერთ რისკ ფაქტორს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ისო 5349-2(2004) საერთაშორისო სტანდარტთან. ოთხწლიანმა კვლევებმა აჩვენა რომ, მოტობლოკებთან მუშაობის შედეგად ოპერატორთა 10%-მა მიიღო სხვადასხვა ტიპის დაზიანებები. აგრეთვე ის რომ, ვიბრაციის სიდიდე მცირდება როცა ძრავას ბრუნთა რიცხვი მატულობს, ბიოდიზელის საწვავის გამოყენების შემთხვევაში დაზიანების რისკ ფაქტორმა შეადგენა 5-10%, როცა ჩვეულებრივი დიზელის გამოყენების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 20%-ზე მეტია.

მოტობლოკებში ვიბრაცია წარმოიშობა და გრძელდება შიგაწვის ძრავის ამუშავებიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დასრულებამდე, რაც იწვევს ხმაურს, ხოლო ნავთობპროდუქტები წვის შედეგად გამოყოფენ ისეთ აირებს, რომელნიც იწვევენ დროთა განმავლობაში ოზონის შრის დაშლას, გარემოს დაზინძურებას და სხვადასხვა ტიპის დაავადებებს. ამის თავიდან ასაცილებლად მსოფლიო პრაქტიკაში იკვლევენ ისეთ საწვავებს, რომელნიც ალტერნატიულები იქნებიან და შეამცირებენ დაზინძურების რისკ ფაქტორებს. ერთ-ერთ მათგანად შეიძლება ჩაითვალოს მწვანე მცენარეული და ცხოველური ცხიმებისაგან დამზადებული დიზელის საწვავი [1], რომლის წვის შედეგად ატმოსფერული დაზინძურების რისკი ძალიან დაბალია. ასეთი საწვავები მიიღებიან მზესუმზირის ზეთის, მცენარეული და ცხოველური ცხიმების გადამუშავების შედეგად. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამუშაოების ძირითადი ნაწილი როგორც ტრაქტორებში, ასევე მოტობლოკებში სრულდება დიზელის ტიპის შიგაწვის ძრავებით, რომელთა სწორ ექსპლუატაციაზეა დამოკიდებული ადამიანთა დაზიანების რისკ ფაქტორების შემცირება და გარემო პირობების დაზინძურება (Saloke-1995). მრავალი გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა რომ, ხმაური და ვიბრაცია



ძირითადად გამოწვეულია ჩვეულებრივი დიზელის საწვავის გამოყენების გამო (Tewari 2009). ჩვენი კვლევის აქტუალურობა განისაზღვრება დიზელის საწვავისა და ბიოდიზელის შერევის შედეგად გამოყენებული საწვავის ზემოქმედების შესწავლით მოტობლოკებში ვიბრაციის ცვალებადობაზე.

ძრავას სამუშაო პროცესში წარმოშობილი ვიბრაცია გამოითვლება აჩქარების საშუალო კვადრატული მეთოდით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$a_{rms} = \left[\frac{1}{T} \int_0^T a(t)^2 dt \right]^{\frac{1}{2}}$$

სადაც: a_{rms} – საშუალო კვადრატული სიდიდეა (მ/წმ²);

t - აჩქარების არე;

T - აჩქარების პერიოდი (მ/წმ²); (Mantsfild 2005).

ვიბრაციის შეფასება შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტის ისო 5349-2 (2001) ის მიხედვით სამგანზომილებიან XYZ სისტემაში და განისაზღვრება დაბალი ან მაღალი სიხშირის გამოვლინების შესაბამისად [Godlia et. Al. 2006], ხოლო აჩქარების საშუალო კვადრატული მნიშვნელობა შესაძლებელია გავიანგარიშოთ შემდეგნაირად:

$$a_{hw} = \sqrt{\sum_{i=1}^n (k_i a_{hi})^2}$$

სადაც k_i - არის სტანდარტული ფაქტორი;

a_{hi} - სტანდარტული ფაქტორის სიხშირის დანამატი;

n - სიხშირე.

ტესტირებისა და კვლევისათვის შევირჩიეთ შემდეგი ტექნიკური პარამეტრები:

ძრავა	შიგაწვის ერთცილინდრიანი
ცილინდრების რაოდენობა	ერთი
დარტყმის ციკლი	ოთხი დარტყმა
გაგრილების სისტემა	ჰაერი
ძრავას ბრუნთა რიცხვი	1200-3200 ბრ/წთ

საერთაშორისო სტანდარტ ისო 5349-2(2001)-ს შესაბამისად ვიბრაციის შეფასება XYZ სისტემაში შეიძლება ჩაიწეროს მოსაზრებით:

$$a_{hv} = \sqrt{a_{hwX}^2 + a_{hwY}^2 + a_{hwZ}^2}$$

სადაც a_{hv} - არის მთლიანი საშუალო კვადრატული აჩქარება (მ/წმ²);

a_{hwX} - ვიბრაციის აჩქარება X ღერძის მიმართ (მ/წმ²);

a_{hwY} - ვიბრაციის აჩქარება Y ღერძის მიმართ (მ/წმ²);

a_{hwZ} - ვიბრაციის აჩქარება Z ღერძის მიმართ (მ/წმ²).



ისო 5349-2-ის შესაბამისად, ვიბრაციის მიღების სამუშაო ნორმად მიღებულია ოპერატორის 8 საათიანი სამუშაო დრო და გაიანგარიშება ტოლობით:

$$A(8) = a_{hv} \sqrt{\frac{T}{T_0}}$$

სადაც (8) – ყოველდღიური ვიბრაციის სიდიდეა;

a_{hv} – მთლიანი საშუალო კვადრატული აჩქარება (მ/წმ²);


T – ვიბრაციის მთლიანი მიღების პერიოდი;

T_0 – 8 საათიანი ვიბრაციის მიღების პერიოდი.

ყოველდღიური ვიბრაცია შეიძლება გამოვიანგარიშოთ ფორმულით:

$$D_y = 31,8(A(8))^{-106}$$

კვლევა ჩატარდა ოპერატორის მიერ მოტობლოკის სახელურზე ხელის დაჭერის სხვადასხვა მდგომარეობის შემთხვევაში (ნახ.1)



ნახ. 1. ხელის მდგომარეობები ა, ბ, და გ პოზიციებზე.

გამოკვლევისათვის ვიბრაციის გასაზომად გამოვიყენეთ შემდეგი მოწყობილობები: ნოუთბუკი ProBook 4540s; ტახომეტრი, დენის გამმართველი და აკუსტიკომეტრი. (ნახ.2)




ნახ.2. ვიბრაციის გამოკვლევისათვის საჭირო ხელსაწყოები.

კვლევებში გამოყენებული იყო ექვსი ტიპის დიზელისა და ბიოდიზელის საწვა-



ვი ნარევი. D; B5; B10; B15; B20 და B100 - ძრავას 1400; 1600; 1800; 2000 და 2200 ბრუნთა რიცხვების შემთხვევაში. ვიბრაცია გავზომეთ სამ ფაზად, ხოლო ნოუთბუკში გამოყენებული იქნა Labview 2009 პროგრამული უზრუნველყოფა. სიგნალი კი სხვადასხვა შემთხვევებისათვის ავირჩიეთ ცალკე-ცალკე და მისი მათემატიკური პროგრამირებისათვის გამოვიყენეთ Matlab 7 კომპიუტერული პროგრამა და მიღებული აჩქარების სიდიდე გამოვსახეთ სქემატურად (ნახ.3).




ნახ.3. აჩქარების სიდიდეთა ოსცილოგრამა.

ვიბრაციის მნიშვნელობა ძრავას სხვადასხვა ბრუნვის შემთხვევაში წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრ. 1. ვიბრაციის მნიშვნელობები ძრავას სხვადასხვა ბრუნთა რიცხვების შემთხვევაში.

ძრავას ბრუნთა რიცხვი	საწვავის სახე					
	D	B5	B10	B15	B20	B100
1400	3,10	3,16	3,82	3,78	3,54	3,53
1800	1,28	1,22	1,19	2,02	1,75	1,77
2200	2,27	2,45	2,97	3,07	2,90	2,85

საწვავის წვის ხარჯის დამოკიდებულება საწვავი ნარევის მიმართ გრაფიკულად წარმოდგენილია შემდეგი სახით (ნახ. 4)



ნახ. 4. საწვავის წვის რაოდენობის დამოკიდებულება საწვავის სახეობის შესაბამისად.

ვიზრაცია სხვადასხვა საწვავის შემთხვევაში დუნკანის მეთოდის შესაბამისად მოცემულია შემდეგი ცხრილის სახით:

№	საწვავის სახე	საშუალო კვადრატული აჩქარების მნიშვნელობა	დუნკანის ანალიზის მნიშვნელობის შეფასების სიდიდე
1	B10	3,078	A
2	B15	3,031	B
3	B20	2,93	C
4	B100	2,92	D
5	D	2,92	E
6	B5	2,57	F

დასკვნა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ:

- ჩვეულებრივი დიზელის გამოყენებისას შესაძლებელია ოპერატორის შრომის პირობები გაუარესდეს და დაირღვეს ისო 5349-2 სტანდარტის პირობები, რამაც სტატისტიკის შესაბამისად გამოიწვიოს 10% ოპერატორთა დაზიანება.
- ექსპერიმენტული გამოკვლევებით ყველაზე დიდი ვიზრაცია და ხმაური გამოვლინდა ძრავას 1800-2200 ბრ/წთ შემთხვევაში.
- 1800 ბრ/წთ შემთხვევაში ოპერატორმა მიიღო ყველაზე მეტი ვიბროდარტყმა, ამიტომ ასეთ პირობებში სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.
- ვიზრაციის რისკი ბიოდიზელში 10%-ია, ხოლო ჩვეულებრივი დიზელის საწვავებში კი 15-20%, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით სამუშაოთა შესრულებისას დიზელის საწვავი შეიცვალოს ბიოდიზელით.



გამოყენებული ლიტერატურა

1. Bini S., Kathirvel K., 2009. Development and evaluation of vibration isolators for reducing hand transmitted vibration of walking and riding type power tillers. *Biosystem Journal*, 103: 427–437.
2. Carraretto C., Macor A., Mirandola A., Stoppato A., Tonon S., 2004. Biodiesel as alternative fuel: Experimental analysis and energetic evaluations. *Energy*, 29: 2195–2211.
3. Dorado M.P., Ballesteros E., Arnal J.M., Lopez F.J., 2004. Exhaust emissions from a diesel engine fueled with trans esterified waste olive oil. *Journal of Fuel*, 82: 1311–1315.
4. Ghobadian B., Khatamifar M., 2006. Biodiesel fuel production using transesterification of waste vegetable oils. *The Journal of Engine Research*: 24–35.

THE PROBE OF VIBRATIONS IN THE MOTOR-BLOCKS WORKING AT DIESEL FUEL IN CASE OF GIVING OF DIFFERENT TYPES OF FUEL

Merab Mamuladze

Academic doctor of the equipment, Asociation Professor, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Soso Tavberidze

Doctor of an agroinzhineriya, Asociation Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

For today the considerable part of making agrogoods grounds are low-circuit in Georgia, grew requirement by technical means with the smallest power, in particular by motor-blocks. Motor-blocks perform agricultural works of different function by means of the operator who has various sizes of vibration, blows, noise. And also long work causes injury of a body, dynamic loading and a disease of respiratory bodies.

In article dependence of number of revolutions of the internal combustion engine on vibration of various types of diesel fuel is considered. Probes showed that number of revolutions of the engine and fuel represent one of risk factors which resists to the international ISO 5349-2(2004).

Four years' probes showed that as a result of work with motor-blocks of 10% of operators received various types of damage. And also the size of vibration decreases when number of revolutions of the engine increases. In case of use of the biodiesel risk the factor of damage made 5-10%, and in case of use of the ordinary diesel this indicator is more than 20%.

ИССЛЕДОВАНИЕ ВИБРАЦИЙ В МОТОБЛОКАХ, РАБОТАЮЩИХ НА ДИЗЕЛЬНОМ ТОПЛИВЕ, В СЛУЧАЕ ПОДАЧИ РАЗНЫХ ВИДОВ ТОПЛИВНЫХ СМЕСЕЙ

Мамуладзе Мераб

Академический доктор техники, Ассоциированный Профессор, Государственный университет Шота Руставели, Батуми, Грузия

Тавберидзе Сосо

Доктор агроинженерии, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

На сегодняшний день в Грузии значительная часть агротоваропроизводственных угодий мало контурная, выросла потребность на технические средства с наименьшей мощностью, в частности на мотоблоки. Мотоблоки выполняют сельскохозяйственные работы разного назначения с помощью оператора, который испытывает вибрации, удары, шум различной величины. А длительная работа вызывает повреждение тела, динамическую нагрузку и заболевание дыхательных органов.

В статье рассмотрена зависимость числа оборотов двигателя внутреннего сгорания от вибрации различных типов дизельного топлива. Исследования показали, что число оборотов двигателя и горючее представляют собой один из риск-факторов, который противостоит международному стандарту ISO 5349-2 (2004).

Четырехлетние исследования показали, что в результате работы с мотоблоками 10% операторов



პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



получили различные типы повреждений. А так же величина вибрации уменьшается, когда число оборотов двигателя увеличивается. В случае применения биодизеля риск-фактор повреждения составил 5-10%, а в случае применения обычного дизеля этот показатель больше 20%.



**ნიადაგის მელიორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის
 განსაზღვრა**

მამუკა წიქორიძე

აგროინჟინერიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მელიორაცია მოიცავს დიდ კომპლექსურ ღონისძიებას: ჭარბტენიანი მიწების ამოშრობა, მშრალი ზონის მორწყვა, კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების წარმოებას, ამასთან მელიორაცია ძვირადღირებული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს მსხვილ კაპიტალურ დაბანდებას.

ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებისათვის აუცილებლობას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო შენობების მშენებლობა და სამელიორაციო მანქანა-აგრეგატების შეძენა. ამოშრობისა და მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მიღებულია მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც განხილულია სტატიაში.

ნიადაგის მელიორაცია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ის თავისთავად წარმოადგენს ორგანიზაციულ-სამეურნეო და ტექნიკურ ღონისძიებას, მიმართულს მიწის ძირეული გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების ამაღლების, მაღალი და მყარი მოსავლის მიღების სისტემისაკენ.

მელიორაცია მოიცავს დიდ კომპლექსურ ღონისძიებას: მშრალი ზონის მორწყვის და გასარწყავებას, ჭაობებისა და ჭარბტენიანი მიწის ამოშრობას, კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების წარმოებას და ა.შ. ამასთანავე მელიორაცია ძვირადღირებული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს მსხვილ კაპიტალურ დაბანდებას.

ფართობების ამოშრობისა და ათვისების შემდეგ ის შეტანილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და გამოიყენება კულტურული სათიბებისათვის, სისტემის მშენებლობის ვადა 2 წელია, ათვისების ვადა კი 3 წელი.

ამოშრობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მიღებულია მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა.

1. მოცემული ფართობების ამოშრობაზე და ათვისებაზე კაპიტალური დაბანდება. რომელიც ფორმულით გამოისახება. $K_{საერთ} = K_{მშენ} + K_{შეგენ}$ სადაც:

$K_{საერთ}$ – არის კაპიტალური დაბანდება მშენებლობაზე. $13ა$ –ი ფართობის ათვისებაზე.

$K_{მშენ}$ – ამოსაშრობი ქსელის მშენებლობაზე და კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებზე დანახარჯი.

$K_{შეგენ}$ – ნიადაგის გაკულტურებისა და ნაყოფიერების აღდგენაზე დამატებითი სასოფლო-სამეურნეო შენობების მშენებლობაზე და მანქანების შეძენაზე დანახარჯები.

2. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა $13ა$ –ზე მელიორაციამდე და მის შემდეგ. 3. მთლიანი პროდუქტის ღირებულება მელიორაციამდე და მის შემდეგ. 4. დანახარ-



ჯები პროდუქციის წარმოებაზე მელიორაციამდე და მის შემდეგ. 5. მოგება მელიორაციამდე და მისი ჩატარების შემდეგ. 6. დამატებითი მოგება მელიორაციის შემდეგ.

საგაზაფხულო მოსავლიანობას სარწყავ და ურწყავ მიწებზე განსაზღვრავენ მთლიანი მოსავლის გაყოფით ნათეს ფართობზე. შრომისა და საშვალეობათა დანახარჯს ერთეულ ფართობზე განსაზღვრავენ საერთო შრომისა და ფულადი დანახარჯების ნათეს ფართობზე გაყოფით.

შრომის დანახარჯს და მის თვითღირებულებას, ერთეულ პროდუქციაზე, განსაზღვრავენ; როგორც კერძო შემთხვევას 1 ჰა-რ ნათესზე დანახარჯს –ამ ფარდობიდან მიღებულ მოსავალზე.

მოგება 1 ჰა-არის განსხვავება პროდუქციის ღირებულებისა და მის წარმოებაზე დანახარჯებს შორის, ხოლო წარმოებული პროდუქციის რენტაბელობას განსაზღვრავენ მოგების შეფარდებით თვითღირებულებასთან. მორწყვის დროს შრომითი დანახარჯი და ფულადი საშუალებანი ერთეულ ფართობზე მნიშვნელოვნად იზრდება, მაგრამ ამასთან ერთად უფრო მაღალი ტემპით იზრდება მოსავლიანობა, მის წარმოებაზე ერთეული პროდუქციის თვითღირებულება და შრომის მოცულობა კი მცირდება, უმჯობესდება სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები სრულდება მდელის და სამოვრების ძირითადი ზედაპირული გაუმჯობესებისათვის. მასში შედის ფართობის გაწმენდა ბარდ-ეკლებისა და ხე-ბუჩქნარი მცენარეებისგან, ქვებისა და ძირკვებისაგან. ორმოებისა და ტრანშეების ამოვსება, კოლბოხების დაჭრა, ფრეზირება, ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნა და სხვა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებისათვის ყველაზე უფრო შრომატევადია ბუჩქნარი მიწების ათვისება.

